გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№14 (1040) 9 - 10 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დიტო გელოვანი გვ.2

## ასოთამწყობთა ასომთავრულები

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

# რაში გადაუხადეს ნაციონალებმა ივანა მელაის ბიუჯეტიდან 161 ათასი ლარი



პროკურატურა მილიონ 500-ათასიანი გაფლანგვის საქმეს სწავლობს — საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური აუდიტის სკანდალური დასკვნა

| ფიზიკური პირები | სამუშაოს დასახელება | ყოველთვიური დარიცხული ანაზღაურება | სულ გადახდილი თანხა ლარებში |
|---|---|---|---|
| ივანნა მელაი | გადაცემის წაყვანა - „ივანნა მელაისთან ერთად" | 10,000 აშშ დოლარი | 161,213 |
| ალექსანდრე მოტორნი | სიუჟეტების მომზადება უკრაინაში და პირდაპირი ჩართვები | -[15] | 54,114 |
| მატვეი განაპოლსკი | გადაცემის წაყვანა - „მოვლენების პიკზე" | 4,000 ევრო | 40,885 |
| ვახტანგ მაისურაძე | მოლაპარაკებების წარმოება პოტენციურ პარტნიორებთან სამაუწყებლო პროდუქტის შეძენაზე | 3,975 ლარი | 33,225 |

გვ.4

## ლუკა კურტანიძეს პარლამენტისკენ გული არ მიუწევს



ვის რჩევას ელოდება პოლიციის აკადემიის პრორექტორი

გვ.3



## „ქართული ოცნებისთვის" საყრდენი ბურჯანაძისა და ინაშვილის პარტიები იქნება"

მამუკა გამყრელიძის პროგნოზები და შეფასებები

გვ.5

## ბათუმელი სულხანი, ზურაბ ადეიშვილი და რემბრანდტის დაკარგული ნახატის საიდუმლო

რატომ არ უნდა პატიმარს ვადაზე ადრე გათავისუფლება

გვ.8



პატიმრის დღიური

# როგორ გახდა ნოდარ დუმბაძის ბიძაშვილი დიასპორის მინისტრი

გვ.6–7



არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ გელა დუმბაძესთან

დიტო გელოვანი

**საყელოგაღეღილმა ვინსენტემ ვეღარ მოითმინა და აღტაცების ნიშნად ორი თითი ჩაიდო პირში და ისე საზარლად დაუსტვინა, ყურებზე ხელი იტაცეს. სტვენა საერთოდ უზრდელობად ითვლებოდა ლამაზ-ქალაქში და დამორცხვებულმა ვინსენტემ თავისი ღილი შეიბნია, წამსვე შეიცვალა, თავი ჩაღუნა და დაბალის ხმით თქვა: „მომიტევეთ, ულრმეს ბოდიშს ვიხდი“. საკვირველი იყო, ისე სწრაფად იცვლებოდა — ღილშებნეული სულ სხვა იყო, საყელოგაღეღილი — სუუულ სხვა“.**

***(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)***

# ასოთამწყობთა ასომთავრულები



პირველ რიგში, მინდა გავიხსენო ის დღე, როდესაც შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, მედიისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები სამინისტროში ფარული ჩანაწერების დახურულ ჩვენებაზე მიგვიწვია. შოკისმომგვრელი კადრები იყო, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, მზად ვიყავით, რომ ჩვენებას ბოლომდე დავსწრებოდით. პირდაპირ გეტყვით: განსაცვიფრებელი იყო ბ-ნ კოჟორიძის რეაქცია და უფრო საოცარი იყო კითხვა და გაღიზიანებული ტონი, რომლითაც მან ბ-ნ ღარიბაშვილს მიმართა — „რატომ გვაჩვენებთ ყოველივე ამას?“

მაშინაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ადამიანებმა უნდა იცოდნენ სიმართლე. ადამიანებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ ინფორმაცია. აბსოლუტურად გასაგები მიზეზების გამო, სრულიად შეუძლებელი იყო აღნიშნული ჩანაწერების ჩვენება ტელეეთერის საშუალებით, ანაც მათი ატვირთვა ინტერნეტსივრცეში, თუმცა ის, რომ რაღაცის გასაჯაროება შეუძლებელია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებამ არ უნდა იცოდეს მის შესახებ. შსს-ში მოწყობილ „სეანსს“ სრულიად კონკრეტული ამოცანა ჰქონდა — ჩვენ ეს უნდა გვენახა, ჩვენ ეს უნდა გვცოდნოდა და ჩვენი საშუალებით, მას შემდეგ, რაც ამ ჩანაწერების შესახებ მოვუყვებოდით, ადამიანებს უნდა გაეგოთ, თუ რასთან და ვისთან გვქონდა საქმე. ერთადერთი, ვისაც ადამიანებამდე ინფორმაციის მიტანა აშინებდა, ეს იყო ნაციონალური მოძრაობა და მე კოჟორიძის აღშფოთებულ ტონში სწორედ ეს შეშფოთება ამოვიკითხე.

ეს შიში იგრძნობა მათში (ვგულისხმობ რამდენიმე ადამიანს) მას შემდეგ, რაც ჩვენმა საზოგადოებამ შვედურ გაზეთში გამოქვეყნებული სკანდალური მასალების შესახებ შეიტყო — თუ როგორ იხარჯებოდა შვედი გადასახადების გადამხდელთა ფული საქართველოში ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიისა და მისი მხარდამჭერების სასარგებლოდ.

ლოგიკური იქნებოდა, პირველ რიგში, სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციები დაინტერესებულიყვნენ შვედურ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით და ეცადათ, საქმის ვითარებაში გარკვეულიყვნენ, თუმცა ქ-მა ნინო ლომჯარიამ შვედეთში მცხოვრები საკუთარი მეგობრების აზრი მოიშველია და აღნიშნა, რომ გაზეთი, რომელმაც გაბედა და, ბილდტისა და სააკაშვილის საეჭვო გარიგებაზე ხმა ამოიღო, არის ტაბლოიდი, რომლის სანდოობაც ეჭვს იწვევს.

სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ პირადად მე სააკაშვილის რიტორიკა გამახსენდა, როდესაც მისდამი გამოთქმული კრიტიკის ავტორებს ყველა მიწიერ თუ არამიწიერ ცოდვაში სდებდა და ახლაც სდებს ბრალს.

დიდი ხანია, საზოგადოებაში არსებობს განცდა, რომ ზოგიერთი ენჯეოშნიკი, როგორც მათ უწოდებენ, რბილად რომ ვთქვათ, განსაკუთრებით ლოიალურად არის განწყობილი ნაციონალური მოძრაობისადმი. რა თქმა უნდა, ვერავის აუკრძალავ და არც უნდა აუკრძალო, რომ იყოს რომელიმე პარტიის წევრი ან მხარდამჭერი, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს ღიად და გამჭვირვალედ, თუნდაც — „საერთაშორისოდ გამჭვირვალედ“ და არა ისე, როგორც ხდება — ვითომ ნეიტრალური, ვითომ მიუკერძოებელი, ვითომ პირუთვნელი და ა.შ. ისევე, როგორც „რუსთავი 2“ — ვითომ მედიასაშუალება, ვითომ დაბალანსებული და ობიექტური... როდესაც, ნაციონალების მმართველობის დროს იყო ყველაფერი კარგად, ხოლო ახლა ყველაფერი არის ცუდად. მაშინ არ იყო ქურდობა, ახლა ყველა ქურდობს; მაშინ არ იყო მკვლელობა, ახლა კი ყველა ერთმანეთს ხოცავს; მაშინ იყო ტერიტორიული მთლიანობა, ახლა — მავთულხლართებია; მაშინ „იმედი“ არავის დაურბევია, „პრესა.ჯი“ არავის მიუსაკუთრებია, ფოტორეპორტიორები არავის დაუპატიმრებია, ახლა კი რეკლამის კანონით სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ცდილობენ...

აღარც მახსოვს, ბოლოს როდის იყო, კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურის ტრიუმვირატიდან ერთ-ერთს მაინც, უფრო ხშირად კი — სამივეს ერთად, ამა თუ იმ საკითხზე, ფაქტზე თუ მოვლენაზე „რუსთავი 2“-ის საშუალებით საკუთარი აზრი არ დაეფიქსირებინა. აზრი, რომელიც, პირადად ჩემთვის, ყოველთვის საეჭვო თანხვედრაში მოდის ნაციონალური მოძრაობის მიერ გაკეთებულ შეფასებებთან. ერთია — იყო ტენდენციური, მაგრამ მეორეა — იყო ტენდენციური „რუსთავი 2“-ის ეთერში. თან — სისტემატიურად.

ყოველივე ეს ნამდვილად იძლევა დაეჭვების საფუძველს და ეს ეჭვები უამრავ ადამიანს არც არასოდეს დაუმალავს, მაგრამ, საკმარისი იყო ინტუიციას და ლოგიკას დამატებოდა უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, ხსენებულიყო რამდენიმე გვარი, რომ პოლიტიკოსთა ერთი, გარკვეული ჯგუფისგან, და რამდენიმე ე.წ. ენჯეოშნიკისგან მივიღეთ სრული ისტერიკა — „არასამთავრობო ორგანიზაციებს ებრძვიან“, „სახეზეა სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციის მცდელობა“, „მესამე სექტორი საფრთხეშია“ და ა.შ.

გია ნოდიასა და თემურ იაკობაშვილის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ყბადაღებულ ეგზიტპოლებს გაგახსენებთ. გაგახსენებთ ლუის ნავაროს მიერ ჩატარებულ ოინბაზურ კვლევებს. საზოგადოებამ აბსოლუტურად ადეკვატური შეფასება მისცა ლუის ნავაროს პიროვნებას, მაგრამ ერთი წუთითაც არავის დაუყენებია ეჭვქვეშ „ენ-დი-აის“, როგორც ორგანიზაციის, სოლიდური რეპუტაცია და არც არავის აუკრძალავს და ვერც ვერავინ აკრძალავს გია ნოდიასა და თემურ იაკობაშვილის არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათი კონსტიტუციური უფლებაა, განახორციელონ თავიანთი საქმიანობა კონსტიტუციის ფარგლებში. ჩემი კონსტიტუციური უფლებაა, ვიფიქრო, მქონდეს ეჭვი, გავაკეთო დასკვნა და გამოვთქვა აზრი.

ჩემი აზრით, ვამბობთ „ლენინს“ და ვგულისხმობთ „პარტიას“, მაგრამ, როდესაც ვამბობთ „კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურს“, სრულიადაც არ ვგულისხმობთ არასამთავრობო სექტორს, მაგრამ ვიგულისხმო „პარტია“ ანუ ნაციონალური მოძრაობა და ეს ხმამაღლა ვთქვა, ეს ჩემი უფლებაა და თუ ვინმე (გასაგებია, ვინც) ამ უფლების ჩამორთმევას შეეცდება, კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ ჩემი ეჭვი იყო გონივრული, ხოლო დასკვნა — მართებული.

როგორც იქნა, გავხსენი საროჩკის ზედა ღილი. გითხრათ, რას ვგულისხმობ, როდესაც „კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურს“ ვამბობ? მაგას მაშინ გეტყვით, როცა ღილებს ჭიპამდე ჩავიხსნი. მანამდე კი, გაკვეთილს ჩაგაბარებთ, რამდენიმე წუთის წინ ჩემმა მეხუთეკლასელმა შვილმა ჩამაბარა და ბოლოს მკითხა, აზრი რა არისო.

მოკლედ, იხვი ჩაჯდა გუბეში, იქვე ჩახტა ბაყაყი (როგორც სახელმძღვანელოში წერია — მყვარი). დაძმობილდნენ, მოყვნენ მთისას და ბარისას. ამასობაში, ამოვიდა მზე და გუბემ დაშრობა დაიწყო. იხვმა უთხრა, სხვა გუბე მოვძებნოთო, ბაყაყმა იუარა - ჩემი მამული ეს არისო. გადაფრინდა იხვი სხვა გუბეში. რამდენიმე დღის შემდეგ მოაგონდა თავისი ძმობილი, იფიქრა, დავხედავ, მოვიკითხავო. დახედა და რა იხილა — გუბე დამშრალიყო, ბაყაყი მომკვდარიყო. ეჰო, — გაიფიქრა იხვმა, — წამოსულიყავი ჩემთან ერთად და ახლა ცოცხალი იქნებოდიო.

აზრი კი ის არის, რომ ბაყაყს ერთი ვედრო წყლის მოტანა და გუბის ავსება დაეზარა, ელოდებოდა, სანამ აქეთ მოუტანდნენ, ხოლო იხვმა ერთი ვედრო წყლის მოტანაში და გუბის ავსებაში კაი მსუყე გრანტი აიღო, ტრენინგ-სემინარზე („ვედრო წყალი და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა დემოკრატიულ პროცესებში“) დასასწრებად სხვა გუბეში გადაფრინდა და იქ დარჩა. ჩემი ყურით მოვისმინეო, — ერთმა ახლობელმა მითხრა. ისევ უსმენთ-მეთქი, — ვკითხე და, — კიო. ეს ჩვენ გვეხება-მეთქი? — დავინტერესდი. ასე მიპასუხა, თქვენ არ გეხებათ, იმათ ვუსმენთ, ენჯეოშნიკებს და იმათ ეხებაო.

აი, ამაზე კი მართლა სერიოზულად გავბრაზდი. მაგათ რატომ უნდა უსმენდნენ? ჩვენ რატომ არ გვისმენენ? ეგეც არ იყოს და, რას ჰგვანან! ის კი არა, რომ არ უნდა მოუსმინო... ზედ არ უნდა შეხედო, რას ჰგვანან! არადა, ეკითხებიან და უსმენენ: საზოგადოებრივი მაუწყებლის გენდირექტორის თანამდებობაზე ვის ხედავთ? სახალხო დამცველად ვინ წარმოგიდგენიათ? როგორია თქვენი მოსაზრება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურასთან დაკავშირებით? კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ახალი წევრების კანდიდატურებზე რას იტყვით? შეწყალების კომისიის თავმჯდომარის სავარძელში ვის ხილვას ისურვებდით? ვის ხელში უნდა იყოს მოსმენების გასაღები? არის თუ არა მარსზე სიცოცხლე? მარადონა პელეა? მესი თუ რონალდუ? ფარფლები თუ ზეპელინები? ერისიონი თუ სუხიშვილები? თქვენზე ამბობენ, ლიფტში გაიჭედაო... მართალია? სად არის ალიოშა დევდარიანის არქივი? ეს ბზარი იყო? მოგწონთ სათაური?..

ესეც მეორე ღილი... გითხრათ, რას ვგულისხმობ, როცა „კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურს“ ვამბობ? ვგულისხმობ ქორიძეს, ანთაძეს, ტუღუშს, ელისაშვილს, დევდარიანს, ხაბაზს და მენაბდეს, სადღობელაშვილს, შავერდაშვილს, ჟიჟილაშვილს, გოგიბედაშვილს, ბუღაძეს... საერთო ჯამში კი, ვგულისხმობ ნეხვს, ოღონდ — ფრანგულად. კია წილპურ ვოტხ სერვის, მადმუაზელ! კია წილპურ ვოტხ სერვის, მადმუაზელ!.. დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ მთების გაცისფრებაც მოინდომეს!

გამორჩეული კვირა იყო — საერთოდ არ შემიწუხებია ჩემი მეგობარი სააგენტო, რაც არცთუ ხშირად ხდება, ხშირად კი ის ხდება, რომ ნიუსის სათაურებს ჩამოვუყვები ხოლმე — „არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვდნენ პრეზიდენტს და განიხილეს...“, „არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვდნენ ევროკავშირის ელჩს და განიხილეს...“, „არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვდნენ ამერიკის ელჩს და განიხილეს...“, „არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვდნენ ნატო-ს ელჩს და განიხილეს...“

კოჟორიძე უკვე მარგველაშვილშია, ჩუგოშვილი აღარ არის ღარიბაშვილში, რადგან მარგველაშვილში უნდა და გზად ამერიკაში შეივლის სასწავლებლად, გიგაური მერაბიშვილში იყო და, დარწმუნებული ვარ, მასაც მარგველაშვილში ვიხილავთ ისევე, როგორც ლომჯარიას... მერე იქნება არჩევნები და ზურიკელა ვაშალომიძისა და მერი სიხარულიძის შთამომავლები, ანუ მთელი სოფელი, ენჯეოშნიკებს მიცემენ ხმას, რადგან უცქერენ მხოლოდ „იმედს“ და „რუსთავს“, უსმენენ ჯაჯანიძეს და ჯავახიშვილს და არ აქვთ რეაქცია. სხვაზე სხვამ თქვას, სხვამ იფიქროს, სხვამ იკივლოს და რეაქციაც სხვას ჰქონდეს.

ეს თქვენ გეხებათ და ისევ მისმინეთ. არაფერია იმაზე ადვილი, რომ შევადაროთ, თუ რას ამბობდნენ ისინი, ახლა რომ აცხადებენ, ისევ გვისმენენო მაშინ, როცა მართლა გვისმენდნენ და რას იტყვიან მაშინ, თუ მთელი სოფელი მათ მისცემს ხმას? იტყვიან, რომ მოსმენები აუცილებელია, ციხეები უნდა გაივსოს და წილები უნდა გადანაწილდეს. ანუ მოხდება ის, რაც ერთხელ უკვე მოხდა, როცა მთელმა სოფელმა ხმა მათ მისცა.

მაინც, რა არის ეს პოლიტიკა? რა ხილია და რა ბოსტნეული? პოლიტიკაა სასარგებლო თუ პოლიტიკაში ყოფნა? ისევ ჩემი მეგობარი სააგენტო თუ დამეხმარება თავისი იმ ერთი ანონსით და ერთ ნიუსით, რომლებსაც სოციალურ ქსელში გადავაწყდი.

ანონსი: „საპარლამენტო დელეგაცია ხვალ, 6 თებერვალს, ოფიციალური მიწვევით თურქეთში გაემგზავრება, სადაც მინი-ფეხბურთის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ერთმანეთს შეხვდებიან უნგრეთის, თურქეთის, პოლონეთისა და საქართველოს პარლამენტის წევრებისგან დაკომპლექტებული გუნდები. დეპუტატ შოთა ხაბარელის თქმით, ქართული მხარე 13-კაციანი დელეგაციით იქნება წარმოდგენილი. „მე გახლავართ დელეგაციის ხელმძღვანელი. ვითამაშებთ მინი-ფეხბურთს, თუმცა ცოტა მოზრდილი სტადიონია. რვა კაცით დაკომპლექტებული გადის პირველი შემადგენლობა და მასში იქნება ორი ყოფილი ფეხბურთელი — დავით ლორთქიფანიძე და თემურ ჩხაიძე. იქნება ზურაბ ზვიადაურიც. ვფიქრობ, კარგი ნაკრები გამოვა. საქართველო ამ ტურნირში პირველად მონაწილეობს. აღნიშნულ გუნდში ნაციონალური მოძრაობიდან არავინ იქნება, თუმცა შეთავაზება ჩვენ მათ გავუგზავნეთ“, — განაცხადა ხაბარელმა ჟურნალისტებთან. იმის გამო, რომ დეპუტატების ნაწილი ოფიციალური ვიზიტით თურქეთში მიემგზავრება ფეხბურთის სათამაშოდ, ხვალ, 6 თებერვალს, პარლამენტში, სავარაუდოდ, პლენარული სხდომა არ ჩატარდება“.

ნიუსი: „საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე მონაკოს პრინცს ალბერტ მეორეს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პარლამენტიდან აცნობეს, შეხვედრა ხმელთაშუაზღვის საპარლამენტო ასამბლეის (PAM) კონფერენციის ფარგლებში გაიმართა, რომელშიც დავით საგანელიძე PABSEC-ის ვიცე-პრეზიდენტის რანგში მონაწილეობს. პარლამენტარის განცხადებით, მხარეებმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საქართველოში მიმდინარე პროცესები განიხილეს“.

აიწყვეს ცხოვრება. აწყდა მესამე ღილი.

სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს.

ნიუსი ახალ ამბავს ნიშნავს. მოხდება, გვეტყვიან, გავიგებთ. მთავარი გაგებაა. მაგრამ „დაღამდა“ და „გათენდა“ ნიუსი არ არის — უნდა გათენებულიყო და უნდა დაღამებულიყო.

„ქართველი დეპუტატები ფეხბურთის ჩემპიონატში უნგრელ კოლეგებთან ანგარიშით – 5:1 დამარცხდნენ. მატჩი თურქეთში გაიმართა. ერთადერთი გოლი უნგრელი კოლეგების კარში, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანმა გაიტანა. მეკარეს, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრ გია ცაგარეიშვილს, რამდენიმე რთული ბურთის მოგერიება მოუწია“, — არც ეს არის ნიუსი და არც ეს: ვამბობთ „კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურს“ და ვგულისხმობთ...

ამ მრავალწერტილში ვისაც რა უნდა, ის იგულისხმოს, მე კი პერანგი უკვე ჭიპამდე მაქვს ჩახსნილი და ხატოვანი სიტყვა-თქმებიდან ყველაზე შესაფერისს ვარჩევ.

**ვ.თ.ჩ.** (ვოეე, თქვე ჩემა) მეცხრე სადღეგრძელოში დიდის მოწიწებით მოიხსენიეს კარრასკოთა მთელს სახელგანთქმულ გვარში გარდაცვლილთა ხსოვნა, მაგრამ დააყოლეს შეუფერებელი სიმღერა: „გოგო მიდის მოხვეულში...“ მეთორმეტეზედ კი, პერანგი ჭიპამდე ჩაიხსნა და, სასმისი დიდის წვალებით რომ გამოსცალა, საპატიო ხელმძღვანელისკენ ისროლა, კინაღამ თავში მოახვედრა დიდი ფიალა და შეუძახა: — ვოეე, ჯულიო! შე ჩემა!! — მერე კი, ვინმე გრაციაზა მატირელის ძალიან უბწკინა.

***(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)***

# ლუკა კურტანიძეს პარლამენტისკენ გული არ მიუწევს



## ვის რჩევას ელოდება პოლიციის აკადემიის პრორექტორი

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

**მას შემდეგ, რაც მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, უმრავლესობის წევრი, თამაზ ავდალიანი გარდაიცვალა, უმრავლესობაში ვაკანსია გაჩნდა, რაც ნიშნავს, რომ ლუკა კურტანიძემ საქმიანობა, შესაძლოა, პარლამენტში განაგრძოს. ჭიდაობის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს შს სამინისტროს პოლიციის აკადემიასთან გამოთხოვება, სადაც პრორექტორია, უჭირს და ამიტომ არჩევანის გაკეთებას არ ჩქარობს. კონსულტაციები უკვე გამართა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივან ირაკლი კობახიძესთან, ვიცე-პრემიერს კახი კალაძეს ესაუბრა და შს მინისტრ ვახტანგ გომელაურის პოზიციაც მოისმინა. საბოლოო გადაწყვეტილებას კი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიუნჰენიდან დაბრუნების შემდეგ მიიღებს. „სადაც საჭირო ვიქნები, იქ ვემსახურები სამშობლოს“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას ლუკა კურტანიძე და დასძენს, რომ ბუნებით მებრძოლია, საქმეში, რომელსაც ხელს ჰკიდებს, ტიტანურ შრომას დებს და მხოლოდ გამარჯვებაზეა ორიენტირებული.**

**— დამარცხებაზე არასოდეს ფიქრობთ?**

— დამარცხებები მქონია, მაგრამ არ ვფიქრობ. მებრძოლმა ადამიანმა დამარცხებაზე თუ იფიქრა, ბრძოლაში კითხვისნიშანი ჩნდება. ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის თავდაუზოგავი შრომით მიმიღია შედეგი. არ მივეკუთვნები ბედიღბლიანი ადამიანების კატეგორიას.

**— პარლამენტში ბევრი გამოწვევაა. როგორ გაუმკლავდებით?**

— საამისოდ ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე და ვფიქრობ, თავს ღირსეულად გავართმევ. იერარქიულობას ძალიან დიდ პატივს ვცემ. აქედან გამომდინარე, თავს უფლება არ მივეცი, გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიმეღო. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატობა სიით მეკუთვნის, მიმაჩნია, რჩევა იმ ადამიანებს უნდა ვკითხო, ვისაც მეტი პოლიტიკური გამოცდილება აქვს.

**— ეს ადამიანები ვინ არიან, რჩევა ბიძინა ივანიშვილს უნდა ჰკითხოთ?**

— მისგან რჩევა-დარიგება ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. ბედნიერი ვარ, რომ მისი ერთგული თანამებრძოლი ვარ. მის სიტყვას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის რჩევასაც. ჩვენ თანამებრძოლები ვართ და ბევრი სხვა რამეც გვაკავშირებს — წლები, ასევე პარტია, სადაც პოზიციების თანხვედრა უნდა მოხდეს. გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მივიღებთ, თუ სად იქნება ლუკა კურტანიძე უფრო პროდუქტიული და შედეგზე ორიენტირებული.

**— როგორც გატყობთ, პარლამენტისკენ გული დიდად არ მიგიწევთ...**

— პოლიციის აკადემიაში რომ არ ვიყო, გადაწყვეტილების მიღება ადვილი იქნებოდა. შსს-ში ორი წლის წინ არ მივსულვარ — 1994 წელს მივედი, როგორც რიგითი და ოცწლიანი გამოცდილება დავაგროვე. ამ სტრუქტურიდან წასვლა ძალიან რთულია, თუმცა პარლამენტი უფრო გლობალურია, მეტისმომცველი.

**— ბატონო ლუკა, მოდი, ჭიდაობის ფედერაციიდან თქვენს სკანდალურ წამოსვლაზეც ვისაუბროთ...**

— მანამდეც იყო წარუმატებლობა... ბევრჯერ წავქცეულვარ, მაგრამ ძალიან მალე ფეხზე დავმდგარვარ — მსოფლიო ჩემპიონობა მოვიპოვე. ჩემი ქვეყნისთვის, როცა ძალიან უჭირდა, ბევრი გამარჯვების სიხარული მომიტანია. ისე, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებზე ყოველთვის აფხაზეთის სახელით გამოვდიოდი: იწერებოდა — საქართველო, ქალაქი სოხუმი. მეამაყება, რომ ჩემი ბრძოლები, როგორც სპორტსმენმა, ღირსეულად დავაგვირგვინე, ყოველი ნაქცევა იმის მანიშნებელია, რომ ალბათ, რაღაც შეცდომა დაუშვი და უნდა გამოასწორო.

რაც შეეხება ჭიდაობის ფედერაციას, შემიძლია, ბევრი ტექნიკური წარმატება ჩამოვთვალო. როცა ფედერაციაში მივედი, ბიუჯეტში 2 300 ლარი დამხვდა. ახალ პრეზიდენტს კი 460 000 ათას ლარზე მეტი დავუტოვე. ჩავატარე ევროპის ჩემპიონატი, რომელიც მხოლოდ სპორტული კი არა, პოლიტიკური თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო — საქართველოში 47-ზე მეტი ქვეყნის დელეგაცია ჩამოვიდა და, გარდა იმისა, რომ სახელმწიფოში ფინანსური შემოსავალი შემოვიდა, მთელი სპორტული ევროპის ყურადღება თბილისისკენ იყო მომართული. სპორტის მსოფლიო ფედერაციიდან უმაღლესი შეფასება მივიღეთ. ჭიდაობის ფედერაციის ახალ პრეზიდენტს ვთხოვე, მასტერკლასის ჩატარების საშუალება მოეცა, რათა ჩემი ცოდნა და გამოცდილება ახალ თაობას გადავცე. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, არ მიმაჩნია, რომ ჩემი გადაწყვეტილება არასწორი იყო. უბრალოდ, მაქსიმალისტი ვარ და სპორტსმენებისაგანაც, ეტყობა, მაქსიმალური შედეგი მოვითხოვე, რასაც წყენა მოჰყვა. წლების განმავლობაში, სპორტული ობიექტები ნიავდებოდა, მაგრამ ამაზე ღიად არ ლაპარაკობდნენ. წელს 6 სპორტული ობიექტი გაიხსნება, ივლისში კი ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს ვუმასპინძლებთ, რაც თავის წვლილს შეიტანს ქართული სპორტის მომავალ წარმატებაში. ორ წელიწადში ვერც ერთი ხელისუფლება, რაც უნდა წარმატებებზე იყოს ორიენტირებული, მთელ ინფრასტრუქტურას, რაც დაინგრა და განიავდა, ერთბაშად ვერ აღადგენს.

**— რომელი ობიექტების გახსნა იგეგმება?**

— ტანვარჯიშისა და მძლეოსნობის სპორტული კომპლექსების... ასევე უნდა აშენდეს ჭიდაობის დიდი კომპლექსი. ამ საკითხთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრის დავალებით, ქალაქის მერს შევხვდით. რაც ჭიდაობის ფედერაციაში მოხდა, ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტია, მაგრამ საქართველოში ინერგება ტენდენცია, რომ საზოგადოებამ მიიღოს ის, რასაც ითხოვს. რადგან ჩემი თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვეს, ყველაფერი ახალ პრეზიდენტს გადავეცი და წარმატებები ვუსურვე. როცა სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელი ხარ, პირადული წყენა და განცდა, ალბათ, გვერდზე უნდა გადადო. მე იმ საქართველოს ერისკაცების — ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა ფშაველას ფეხის მტვრადაც არ ვღირვარ, რომლებიდანაც ერთმა თავის დროზე ტყვია მიიღო, მეორემ კი — უზარმაზარი დამცირება. საერთოდ, როცა ქვეყანას, ერს ემსახურები, ბევრი ტკივილი უნდა მიიღო და ეს არავის დაამადლო. ნაცმოძრაობისათვის მიუღებელი ჩემი პირდაპირობის გამო გავხდი. სრული უფლება მაქვს, ვთქვა, რომ იმ რეჟიმმა ჩემს ფსიქოლოგიას დაღი დაასვა.

**— ქართულ პოლიტიკაში ფიზიკური ანგარიშსწორება მოდურია...**

— ასეთი რამ და უფრო უარესებიც სხვა ქვეყნების პარლამენტებშიც ხდება. იმედი მქონდა, ის ადამიანები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ, რომ საქართველოს იმიჯს უფრთხილდებიან, ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს ვგულისხმობ, ქართული სახელმწიფოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, საკუთარ თავში ძალას მონახავდნენ, გამოვიდოდნენ და შეცდომებს აღიარებდნენ — იმაზე, რაც დააშავეს, სინანულს გამოთქვამდნენ და მთელ ერს ბოდიშს მოუხდიდნენ. მაშინ მათ მიმართ ასეთია აგრესია არ იქნებოდა, მაგრამ მობოდიშების ნაცვლად, მთელ ერს შეურაცხყოფას აყენებენ და როგორ გინდა, მათ ოპონენტებს ემოციების მოთოკვა მოსთხოვო? როცა ადამიანი ბოდიშს ალალად იხდის, ვაჟკაცობა არ იქნება, მის მიმართ აგრესია გამოხატო ან ფიზიკურად შეეხო. ძალიან ვწუხვარ, რომ ადამიანებს, რომლებმაც წლების განმავლობაში შეცდომები დაუშვეს, ამის აღიარება არ შეუძლიათ. პირიქით, იმუქრებიან და რევანშისტული განწყობა აქვთ, რაც საზოგადოებაში დაძაბულობას ქმნის. ემოციას ვერავის შეუზღუდავ, მაგრამ ემოცია დაბალანსებული უნდა იყოს.

**— ნაცმოძრაობა მოითხოვს, უკრაინაში მებრძოლი ქართველების სტატუსი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა სტატუსს გაუთანაბრდეს. ბატონო ლუკა, როგორ ფიქრობთ, დღეს უკრაინაში ქართული საქმე კეთდება?**

— რადგან პოლიტიკაში ვართ, პირველ რიგში, იმ ვითარებიდან უნდა გამოვიდეთ, რაც ჩვენს სახელმწიფოს რისკებს მოუხსნის. აფხაზეთი, სამაჩაბლო და კიდევ სხვა რაიონები ოკუპირებულია. დღეს რუსეთმა რომ მოინდომოს, ჩვენს სახელმწიფოებრიობას პრობლემას შეუქმნის. როცა სახელისუფლებო შტოს წარმომადგენელი ხარ, უნდა იფიქრო დიპლომატიურ მიდგომებზე. თუ ასეთი მიდგომით ჩვენს სახელმწიფოებრიობას კითხვისნიშნის ქვეშ დავაყენებთ, ეს უდიდესი შეცდომა და დანაშაული იქნება. შეიძლება, ბევრი სიკეთე გააკეთო, იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც შენთვის მნიშვნელოვანია და ემეგობრები, მადლიერება გამოხატო, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ქვეყნებს შორის კონფლიქტში მედიატორი უნდა იყო და პროცესებზე დადებითად იმოქმედო. სამშობლოს სიყვარული ის არაა, სახელმწიფოს ერთიანობა და დამოუკიდებლობა შენს ემოციებს გადააყოლო...

## ვერსიანიუსი

# იური ვაზაგაშვილის მკვლელობისთვის დაკავებული პოლიციელი ირაკლი ფირცხალავას მეგობარია




იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე გახსნილია — მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, დაკავებული პირი, რომელმაც 20 იანვარს კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში აფეთქება განახორციელა, მოქმედი პოლიცელი გია სოსანაშვილია. სოსანაშვილი, როგორც „პირველი რადიო“ იუწყება, ზურა ვაზაგაშვილის საქმეზე დაკავებული კრიმინალური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილის, ირაკლი ფირცხალავას ე.წ. ფეისბუქმეგობარია. ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სოსანაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცავთა ლიგასთან“, რომლის დამფუძნებლებიც ნაციონალური პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნები არიან. „ქართლი.გე“-ს ცნობით, სოსანაშვილი გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფელ საკორინთლოში ცხოვრობს, სადაც პოლიციამ მისი საცხოვრებელი სახლი 7 თებერვალს გაჩხრიკა.

**„პიკაპებით მოვიდნენ, სახლს ლენტი შემოახვიეს და დაიწყეს ჩხრეკა. პროცესი რამდენიმე საათი, თითქმის 9 საათამდე, გაგრძელდა. აქ მხოლოდ მოხუცი მშობლები ცხოვრობენ“,** — განუცხადეს „ქართლი.გე“-ს ადგილობრივებმა.

სოსანაშვილი, როგორც ირკვევა, ბოლო დრომდე, ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოში მუშაობდა.

მთავარ პროკურატურაში დანაშაულის ჩადენის მოტივზე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, განმარტებებს ჯერჯერობით არ აკეთებენ და მხოლოდ იმას ამბობენ, რომ სოსანაშვილმა უშუალოდ ხელყუმბარა დადო. შეგახსენებთ: გამოძიებამ აფეთქების ადგილიდან ხელყუმბარის ნაწილი ე.წ. ფალიის სახელური ამოიღო, რომელზედაც ჩატარებული ექსპერტიზით აღმოჩენილ იქნა ადამიანის დნმ-ის კვალი.

პროკურატურაში განმარტავენ, რომ გამოძიებით გადამოწმდა მობილური სატელეფონო ოპერატორების მომსახურე ანძებზე დაფიქსირებული აბონენტების ვინაობა, დაიკითხა ათეულობით მოწმე, განისაზღვრა დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირთა წრე. სწორედ ასე გავიდა გამოძიება სოსანაშვილზე, რომელიც, როგორც გამოძიებით დადგინდა, 2015 წლის 19-20 იანვარს იმყოფებოდა კასპის რაიონის სოფელ ყარაფილას ტერიტორიაზე და რომლის დნმ-ი გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაემთხვა შემთხვევის ადგილიდან (ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავი) ამოღებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ფალიის სახელურზე აღმოჩენილ დნმ-ს, თუმცა იური ვაზაგაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით დაკავებული პოლიციელი ბრალს არ აღიარებს.

საქმეზე გრძელდება გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 14 წლამდე ვადით.

რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, პროკურატურის ცნობით, მიმდინარეობს რამდენიმე ვერსიაზე მუშაობა, მათ შორის ერთ-ერთი ვერსია ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის გამოძიებას უკავშირდება.

„ვერსიანიუსი“

# რაში გადაუხადეს ნაციონალებმა ივანა მელაის ბიუჯეტიდან 161 213 ლარი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლი" 2011-2012 წლების ფინანსური აუდიტი განახორციელა და უარყოფითი დასკვნა გასცა. შემოწმებით გაირკვა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტმა, მინიმუმ, 703 054 ლარით იზარალა, 1 423 737 ლარი კი „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" არამიზნობრივად გახარჯა. სახელმწიფო აუდიტის სკანდალური დასკვნა, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსური დარღვევების გარდა, ტელეკომპანია „პიკის" უმაღლესი მენეჯმენტის სახელფასო და ბინის ქირის ხარჯსაც ეხება. მოკლედ, რა რაოდენობის თანხას იღებდა უკრაინელი მომღერალი ივანა მელაი ყოველთვიურად ტელეკომპანია „პიკზე" მუშაობისას და რამდენს უხდიდნენ ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე დაქირავებულ ბინაში? — „ვერსია" ექსკლუზიურად გთავაზობთ აუდიტის ანგარიშს, რომელიც უკვე მთავარ პროკურატურაშია გადაგზავნილი.**




| ფიზიკური პირები | სამუშაოს დასახელება | ყოველთვიური დარიცხული ანაზღაურება | სულ გადახდილი თანხა ლარებში |
|---|---|---|---|
| ივანნა მელაი | გადაცემის წაყვანა - „ივანნა მელაისთან ერთად" | 10,000 აშშ დოლარი | 161,213 |
| ალექსანდრე მოტორნი | სიუჟეტების მომზადება უკრაინაში და პირდაპირი ჩართვები | -[15] | 54,114 |
| მატვეი განაპოლსკი | გადაცემის წაყვანა - „მოვლენების პიკზე" | 4,000 ევრო | 40,885 |
| ვახტანგ მაისურაძე | მოლაპარაკებების წარმოება პოტენციურ პარტნიორებთან სამაუწყებლო პროდუქტის შეძენაზე | 3,975 ლარი | 33,225 |

## ძირითადი დარღვევების ზოგადი მიმოხილვა

კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლის შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი, კანონთან შეუსაბამო ფაქტი გამოავლინეს. კერძოდ, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" რუსულენოვანი ტელეპროდუქციის დამზადებისა და გაშვებისთვის, ტენდერის საფუძველზე, შპს „პიკს" 14 000 000-ლარიანი ხელშეკრულება გაუფორმა. ხელშეკრულების თანახმად, ანგარიშსწორება მიწოდებული ტელეპროდუქციის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო. აუდიტის ჯგუფმა შერჩევით, 2012 წლის მაისში, ივნისსა და ივლისში, ეთერში გასული გადაცემა „ახალი ამბების" ფაქტობრივი საათების რაოდენობა, ამავე თვეების მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებული საათების რაოდენობას შეუდარა და გამოვლინდა სხვაობა 63 საათის ოდენობით, რაც სატენდერო წინადადებით განსაზღვრული ფასის თანახმად, 268 698 ლარია. აქედან გამომდინარე, მაუწყებელმა 2012 წლის მხოლოდ მაის-ივნის-ივლისში და მხოლოდ გადაცემა „ახალი ამბების" მომზადებისთვის, შპს „პიკს" ზედმეტად 268 698 ლარი აუნაზღაურა. ამასთან, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელსა" და შპს „პიკს" შორის, 2012 წლის 13 ნოემბრის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულება შეწყდა.

მე-3 არხის მართვისთვის გამოყოფილ 14 000 000 ლარსა და „პიკისთვის" ანაზღაურებულ 12 576 263 ლარს შორის წარმოქმნილი სხვაობა — 1 423 737 ლარი „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" მიმდინარე ხარჯისთვის გამოიყენა, რაც მაუწყებლის მიერ გაწეული არამიზნობრივი ხარჯია. ასევე, შპს „პიკსა" და მაუწყებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, „პიკს" უნდა დაემზადებინა მინიმუმ, 100 საათის ოდენობის საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამები, რაც, ფაქტობრივად, არ შესრულებულა. ხელშეკრულების თანახმად, ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო — სახელშეკრულებო თანხის 2%-ის ოდენობით, რაც 280 000 ლარია. აუდიტით გაირკვა, რომ ხელშეკრულების ეს მუხლი მაუწყებელს არ გამოუყენებია.

იმის გამო, რომ „საზოგადოებრივ მაუწყებელს", ბიუჯეტით გათვალისწინებულ 14 000 000 ლარზე წინასწარი ხარჯთაღრიცხვა არ გააჩნდა და ხელშეკრულების შესრულების პროცესში სათანადო მონიტორინგს არ ახორციელებდა, სახელმწიფო აუდიტორები ვერ ადასტურებენ, მაუწყებლის მიერ გადახდილი თანხა „პიკის" გაწეულ მომსახურებაზე ადეკვატურია თუ არა.

2010 წლის 7 დეკემბერს, პირველი და მეორე სატელევიზიო არხების სარეკლამო და სასპონსორო დროის გაყიდვის მიზნით, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში მხოლოდ შპს „ჯენერალ მედია" მონაწილეობდა, რომელიც საკონკურსო კომისიის წევრებმა გამარჯვებულად გამოაცხადეს. არადა, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გარდა, „ჯენერალ მედია" ტელეკომპანია „იმედს", „რუსთავი 2"-ს, „მზეს", „პირველ სტერეოსა" და „საქართველოსაც" ემსახურებოდა. ფაქტობრივად, „ჯენერალ მედია" ერთადერთი „სელერი" იყო საქართველოს სატელევიზიო სარეკლამო სივრცეში, რომელიც შეკვეთას სარეკლამო სააგენტოების საშუალებით იღებდა და შემდეგ, სარეკლამო ბიუჯეტს ზემოხსენებული ტელეკომპანიებს შორის ანაწილებდა.

მაუწყებელსა და „ჯენერალ მედიას" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, „ჯენერალ მედია" მაქსიმალურად უნდა ეცადოს, მაუწყებლის ეთერში სარეკლამო მომსახურება ჩართოს მის მიერ შემუშავებულ მომსახურების პაკეტებში; განახორციელოს ქმედებები მაუწყებლის ეთერში რეკლამის მოზიდვის მხრივ" და სხვ.

რა ქმედებები განახორციელა „ჯენერალ მედიამ" ხელშეკრულების აღნიშნული მუხლის შესასრულებლად და რამდენად ეცადა მაუწყებლის სარეკლამო დროის გაყიდვას — კონტროლის მექანიზმი მაუწყებელს არ გააჩნდა. შესაბამისად, მაუწყებლის სარეკლამო დროის გაყიდვის საკითხი მთლიანად დამოკიდებული იყო „ჯენერალ მედიას" შეხედულებასა და კეთილსინდისიერებაზე.

2010 წლის 22 დეკემბერს, შპს „ჯენერალ მედიასთან" გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „ჯენერალ მედიას" საანგარიშო თვეში გაწეული სარეკლამო მომსახურებისთვის თანხა მაუწყებლისთვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვში უნდა გადაერიცხა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შპს „ჯენერალ მედიას" ეკისრებოდა პირგასამტეხლო — გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველ დღეზე. ამ სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით, შპს „ჯენერალ მედიას" მიერ ჩარიცხული თანხების ანალიზის შედეგად, სახელმწიფო აუდიტებმა დაადგინეს, რომ დასაკისრებელი პირგასამტეხლოს თანხა 99 525 ლარი იყო, რაც „საზოგადოებრივმა მაუწყებლმა" არ გადაიხადა.

2011-2012 წლებში, მაუწყებლის მფლობელობაში არსებული საიჯარო ფართების კატეგორიები, ტარიფები და ფასდაკლების სისტემის წესი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ბრძანებებით განისაზღვრებოდა. საიჯარო ხელშეკრულების დადგენილ ტარიფებთან შედარებით სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, რომ 2011-2012 წლებში, მაუწყებელმა შიდაკონტროლის მექანიზმების უქონლობის გამო, ტარიფების ცვლილებები დროულად არ ასახა საიჯარო ხელშეკრულებებში; რიგ შემთხვევებში, მაღალი კატეგორიის ფართები გაქირავებული იყო უფრო დაბალი კატეგორიის ფართის ფასად, მაგალითად, კომერციული ფართები საოფისე, საოფისე კი დამხმარე ფართობის ფასად. ყველაფერ ამის გამო, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" 54 831 ლარის შემოსავალი დაკარგა.

## არამიზნობრივად გახარჯული ბიუჯეტი

2011 წელს, ზღვრული მოცულობის ფარგლებში, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" სახელმწიფო ბიუჯეტიდან 29 000 000 ლარი მოითხოვა. არადა, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, მაუწყებლის ასიგნება 25 000 000 ლარით განისაზღვრა, საიდანაც ხარჯი 18 344 400, არაფინანსური აქტივების ზრდა კი 6 655 600 ლარი იყო. 2011 წლის 8 აპრილს, სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებით, მაუწყებლის ასიგნებები 20 000 000 ლარით გაიზარდა და 45 000 000 ლარი გახდა. ასიგნებების ზრდა, რომელიც მთლიანად ხარჯების მუხლით განხორციელდა, იმან გამოიწვია, რომ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მესამე არხის დასაფინანსებელი თანხა მაუწყებელმა წლიურ ბიუჯეტში ასახა. წლის ბოლოს, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 1 500 000 ლარით გეგმა დაზუსტდა, რამაც მაუწყებლის წლიურ ბიუჯეტში 46 500 000 ლარი შეადგინა.

2012 წელს, ზღვრული მოცულობის ფარგლებში, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" სახელმწიფო ბიუჯეტიდან 28 200 030 ლარი მოითხოვა, მაგრამ ბიუჯეტიდან 49 600 000-ლარიანი დაფინანსება მიიღო ანუ 21 400 000 ლარი. დაფინანსება იმიტომ გაიზარდა, რომ მაუწყებელმა მესამე სატელევიზიო არხის მართვისთვის — 14 000 000, ქუთაისში მეორე სატელევიზიო არხის ამოქმედებისთვის კი 7 000 000 ლარი გამოყო. წლის ბოლოს, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მაუწყებლისთვის გამოყოფილი 1 000 000 ლარით გეგმა დაზუსტდა, რამაც მაუწყებლის წლიურ ბიუჯეტში 50 600 000 ლარი შეადგინა.

2011-2012 წლებში, მაუწყებლის საშტატო განრიგი და სახელფასო განაკვეთები გენერალურ დირექტორს არ დაუმტკიცებია. აუდიტის პერიოდში, შტატით მომუშავეთა რაოდენობა 53 ერთეულს, შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო რაოდენობა კი 978 ერთეული იყო. საშტატო და შტატგარეშე თანამშრომელთათვის დარიცხული შრომის ანაზღაურება, როგორც საბიუჯეტო დაფინანსებიდან, ასევე საკუთარი შემოსავლებიდან, 13 545 897 და 15 767 259 ლარი იყო. 2011 წელს თანამშრომელთა საშუალო ხელფასი 1 095, 2012 წელს კი 1 274 ლარი გახლდათ.

2011 წელს, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სარეზერვო ფონდიდან მაუწყებელს მიზნობრივად 21 400 000 ლარი გამოუყვეს, 2012 წელს კი — 1 000 000 ლარი. 2011-2012 წლებში, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა მესამე არხის ფუნქციონირებაზე, „ევროვიზიის" ხარჯებზე, მეორე არხის ფუნქციონირებაზე, არჩევნებთან დაკავშირებულ კვლევებზე, სატელიტურ მომსახურებაზე, კრედიტორულ და სახელფასო დავალიანებებზე დაიხარჯა.

2011 წელს, „ევროვიზიის" კონკურსის მოსამზადებელი სამუშაოებისთვის 256 300 ლარი, მივლინებებზე კი 178 200 ლარი წავიდა. 2012 წელს, წინასაკონკურსო მზადებისთვის 81 300 ლარი, ხოლო მივლინებებზე 88 100 ლარი გახარჯეს. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან „ევროვიზიის" კონკურსის ხარჯისთვის 150 000 ლარი იყო გამოყოფილი, საიდანაც მაუწყებელმა შპს „ტიტანს" 120 000 ლარზე ხელშეკრულება გაუფორმა, რომელსაც კონკურსში მონაწილე ქვეყნებში ჯგუფი „ელდრაინის" პოპულარიზაცია უნდა განეხორციელებინა. მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ შპს „ტიტანმა" სარეკლამო ღონისძიებები ევროპის 12 ქვეყანაში ჩაატარა, თუმცა ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ანგარიში და მასალები სახელმწიფო აუდიტორებს ვერ წარუდგინეს. შესაბამისად, გაწეული ხარჯის მიზნობრიობა და რეალურობა დოკუმენტურად ვერ დასტურდება.

2011 წელს, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მეორე სატელევიზიო არხის ქუთაისში ასამოქმედებლად მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 1 500 000 ლარი, ძირითადად, ქუთაისში პარლამენტის შენობისა და მეორე არხის ოფისის სატელევიზიო ქსელის მოწყობის საპროექტო სამუშაოებზე გაიხარჯა. 2012 წელს, მაუწყებლის მეორე არხის ფუნქციონირებისთვის 6 729 100 ლარის ღირებულების სატელევიზიო ტექნიკა და აპარატურა შეიძინეს.

## ფინანსური დარღვევები მაუწყებლის მესამე არხზე

2010 წელს, საქართველოს მთავრობის განკარგულებისა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მაუწყებელმა მესამე, რუსულენოვანი სატელევიზიო არხი, ტელეკომპანია „პიკი" შეიქმნა. მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და საქართველოს მთავრობის თანხმობით, 2010 წლის 15 ივლისის ხელშეკრულებით, მესამე არხი მართვის უფლებით გადაეცა ერთი კვირით ადრე, 2010 წლის 7 ივლისს დაფუძნებულ კომპანია „ქეი 1"-ს. მომსახურების ღირებულება 13 919 500 ლარით განისაზღვრა.

მესამე არხი კომპანია „ქეი 1"-ს მართვის უფლებით, ერთწლიანი ვადით გადასცეს, თუმცა 2011 წლის 30 აგვისტოს შეთანხმებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2012 წლის 16 იანვრამდე გაგრძელდა. მაუწყებლის საშუალებით, 2011 წელს, „ქეი 1"-მა მესამე არხის წარმატებულად ფუნქციონირებისთვის, სათანადო ხარჯთაღრიცხვის წარდგენის გარეშე, ფინანსთა სამინისტროსგან 20 000 000 ლარი მოითხოვა. ამის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან „ქეი 1"-სთვის ეტაპობრივად, 19 400 000 ლარი გამოყვეს.

2011 წელს, მაუწყებლმა „ქეი 1"-ს 18 420 235 ლარი გადაურიცხა, გამოყოფილ და გადარიცხულ თანხებს შორის სხვაობა — 979 765 ლარი, მაუწყებელმა მესამე არხის სატელიტით მომსახურებისთვის პირდაპირ გადაიხადა. „ქეი 1"-ის მიერ 2011 წელს გაწეული ხარჯების აუდიტისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა „ქეი 1"-ის სრულყოფილი საბუღალტრო დოკუმენტაცია ვერ მოიძია. „ქეი 1"-ის გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილის, ალექსანდრე ფარულავას განმარტებით, კომპანია 2011 წლის შემდეგ აღარ ფუნქციონირებდა და შესაბამისად, აღარც თანამშრომლები ჰყავდა.

*დასასრული მე-9 გვერდზე*



# „ქართული ოცნებისთვის“ საყრდენი ბურჯანაძისა და ინაშვილის პარტიები იქნება“

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

**ყოფილი სახელისუფლებო პარტია „ქართულ ოცნებას“ ქვეყანაში ქაოსის შექმნაში ადანაშაულებს, ოპოზიციის სხვა ნაწილი — უსუსურობაში. ექსპერტების ნაწილი სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს ხედავს. სხვანაირად აფასებს მოვლენებს საზოგადოება „ივერიის“ დამფუძნებელი, ექსპერტი მამუკა გამყრელიძე.**

## მამუკა გამყრელიძის პროგნოზები და შეფასებები

— თუ სამოქალაქო დაპირისპირებაში ხელჩართულ ბრძოლას ვიგულისხმებთ, ასეთი რამ მოსალოდნელი არ არის. იმედია, საზოგადოებას ჯერ კიდევ ახსოვს 90-იანი წლების სამოქალაქო დაპირისპირება, მისი დამანგრეველი შედეგები და თავს მაქსიმალურად შეიკავებს. პროცესების ესკალაციას რუსეთის ფაქტორიც შეუწყობს ხელს... თუ დაპირისპირებას იმას დავარქმევთ, რომ საზოგადოება გახლეჩილია, ამ შემთხვევაში, დაპირისპირების ალბათობა არსებობს, თუმცა გარეშე ძალების ჩაურევლად ნაკლებად მოსალოდნელია. დარწმუნებული ვარ, რუსეთის სპეცსამსახურები ამ საკითხზე უკვე მუშაობენ და მათ ხელს ადგილობრივი კოლაბორაციონისტებიც უწყობენ. ეს ქმნის საშიშ ფონს. დღეს ძალიან ბევრი ადამიანი რუსეთზე ეკონომიკურადაა დამოკიდებული. არიან ისეთებიც, რომლებიც ნაციონალებს გამწარებული ჰყავდათ და სურთ, მათზე იერიში მიიტანონ. არ ვამბობ, რომ ისინი სამშობლოს მტრები არიან. დღეს ორი დაპირისპირებული მხარე ლაპარაკობს, არ დებს არგუმენტებს, მათ ერთმანეთის არ ესმით. ამაზე მეტი დაპირისპირება რა შეიძლება იყოს? სამწუხაროდ, აღარ არიან ე.წ. ნაცები და „ქოცები“, არიან ანტინაციონალები და ანტიქოცები. ისინი, უბრალოდ, ერთმანეთის მოწინააღმდეგეები არიან და არა გარკვეული იდეის მიმდევრები.

**— იდეის არქონა ცალკე პრობლემაა... ასეთი მდგომარეობა რამ შექმნა?**

— ძალა, რომელიც 2012 წელს ხელისუფლებაში მოვიდა, ერთი იდეის გარშემო შეკრებილი საზოგადოება კი არა, დესტრუქციული იყო. ნაციონალების წინააღმდეგ გამოიყენეს შავი პიარის ელემენტები და ყველაფერი, მართლაც, ძალიან ოსტატურად იყო გაკეთებული, ვერაფერს ვიტყვით.

**— ანუ ციხის ცნობილი კადრები ოსტატურად გათვლილი საარჩევნო გეგმის ნაწილი იყო?**

— ასე მიმაჩნია... როცა ხელისუფლებაში ნეგატივზე მოსული ძალა მოდის, ის პოზიტივს ვერასოდეს მოგცემს: ეკონომიკაში სერიოზული პრობლემებია — ორი წლის შედეგებით დაანონსებული ჯერ 7%-იანი ეკონომიკური ზრდა, 5%-ზე ჩამოვიდა, მაგრამ ესეც არ სრულდება და ნელ-ნელა რეცესიაში შევალთ. ამას ისიც დავუმატოთ, რომ არ შესრულდა „ქართული ოცნების“ ერთი წინასაარჩევნო დაპირებაც კი, გამონაკლისების გარდა. ის, რომ გაზი და ნავთობი უნდა გაიაფებულიყო, გაჭირვებული ფენისთვის, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ გაზზე ფასის ზრდა მივიღეთ, რაც აუცილებლად აისახება ელექტროენერგიაზეც. სამუშაო ადგილები, მართალია, ცოტათი, მაგრამ შემცირდა. საინვესტიციო პროექტები ისეთი დონის არაა, როგორც ნაციონალების დროს იყო. რაც მთავარია, გაცემულია სამართლიანობის აღდგენის პირობა. როცა ვილაც ასეთ პირობას გაძლევს, უნდა მიხვდე, რომ გატყუებს. სამართლიანობა ზუსტი კი არა, აბსტრაქტული ცნებაა და სამართლიანობაზე ყველას თავისი შეხედულება აქვს. კანონის დაცვა — კი ბატონო...

**— ამბობთ, „ქართული ოცნებას“, რომელიც კოალიციური გაერთიანებაა, 2012 წლის არჩევნებისთვის ერთიანი სამოქმედო გეგმა, იდეა და მიმართულება არ ჰქონდა. მაგრამ ამომრჩეველს მაშინ სხვა არჩევანი ჰქონდა?**

— ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია. რაც ნაცმოძრაობამ გააკეთა, ალბათ, ძალიან წინდაუხედავი პოლიტიკური ძალა თუ მოახერხებდა — თავისივე წიაღში, იდეურად დაახლოებულ ადამიანებში ისეთები ვერ მოძებნეს, რომლებიც ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალას შექმნიდნენ და რომელსაც იგივე ვექტორი ექნებოდა, რაც ნაცმოძრაობას ჰქონდა. ავიღოთ აშშ, სადაც ერთმანეთს ებრძვიან რესპუბლიკელები და დემოკრატები. ხან ერთი მოდის ხელისუფლებაში, ხან — მეორე, მაგრამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორი არ იცვლება. შიდაპოლიტიკურ საკითხებში კი განსხვავება, რა თქმა უნდა, არის.

**— ჩვენთანაც მსგავსი პოლიტიკური კულტურა რომ არსებობდეს, მნიშვნელოვანი გზა უნდა გავიაროთ. როგორც ვხვდები, გინდათ, საქართველოში, აშშ-ს მსგავსად, ორი ძირითადი პოლიტიკური ძალა იხილოთ და აქედან ერთი ნაცმოძრაობა იყოს, არა?**

— არ აქვს მნიშვნელობა, ორი იქნება თუ მეტი. მთავარია, პოლიტიკური ძალების ძირითადი კურსი დასავლეთისკენ, ევრო და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ იყოს მიმართული. ამ ვექტორს, განსაკუთრებით, ჩვენი აგრესიული მეზობლის გათვალისწინებით, ალტერნატივა არ აქვს! ჩემი ვარაუდით, მომავალში „ქართული ოცნებისთვის“ საყრდენი ბურჯანაძისა და ინაშვილის პარტიები იქნება. ამომრჩეველი მესამე, პროფესიონალებით დაკომპლექტებულ ძალას ელის.

**— მესამე ძალა პატრიოტთა ალიანსი იქნება?**

— არა, ჩემის აზრით, ეს დროებითი მოვლენაა. მათი მიზანია, ებრძოლონ ნაციონალებთან გაიგივებულ, ერთი ვექტორის ხალხს. ჩემი აზრით, დღეს ძირითადი ბრძოლა პროგრესის ანუ დასავლური ვექტორის მომხრეებსა და იმ რეტროგრადებს შორის მიმდინარეობს, რომლებიც ისევ რუსეთის ორბიტაში გაერთიანდებიან.

**— ყველა იმ ფაქტორისა და პროცესის გათვალისწინებით, რაც სახეზეა, „ქართულმა ოცნებამ“ გააცნობიერა, რომ რეიტინგის დაკარგვის საფრთხე ემუქრება და დაკავებების კასკადი ამიტომ დაიწყო? ამ თვალსაზრისით, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა პროცესების კატალიზატორად ხომ არ იქცევა?**

— მოსახლეობას პური და სანახაობა სჭირდება. ამ დაკავებებით „ქართული ოცნება“ მოსახლეობას სანახაობას უწყობს. ვაზაგაშვილების ოჯახის მიმართ ჩემს დამოკიდებულებაზე არ ვისაუბრებ, რადგან ასეთი გაფეტიშებისგან კარდინალურად განსხვავებული პოზიცია მაქვს. მიმაჩნია, რომ ისინი საზოგადოების ასეთი ინტერესის ღირსნი არ არიან. ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალური შეტევა მიიტანოს სამართალდამცავ ორგანოებზე. ვნახეთ გახმაურებული დაჭერები. პოლიციელები მხარდაჭერას, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მხრიდან უნდა გრძნობდნენ, განსაკუთრებით, კრიმინალთან ბრძოლაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უძლურები გახდებიან. ისეთი საჩვენებელი დაჭერები, როგორიც ირაკლი ფირცხალავას, მანამდე კი გენშტაბის უფროსის აყვანა იყო, სახელმწიფოს სიძლიერეზე ცუდად იმოქმედებს.

**— რატომ, პოლიცია ხელშეუხებელია?**

— არ ვამბობ, რომ პოლიციური სახელმწიფო უნდა შევქმნათ, მაგრამ ეს ადამიანები კრიმინალსა და გარეშე მტერს ისე უნდა ებრძოდნენ, არ ჰქონდეთ განცდა, რომ მეორე დღეს ჟურნალისტი თუ არასამთავრობო გალანძღავს ან დააკავებენ. ფირცხალავას მიმართ, ალბათ, იყო გარკვეული კითხვები, მაგრამ ჯერ გამოიძიონ და მერე დაიწყონ დაჭერები.

**— „ქართული ოცნება“ საჩვენებელ დაჭერებში ნაციონალებს ბაძავს?**

— ნაცმოძრაობა ძალიან ხშირად მიმართავდა ამ ხერხს, განსაკუთრებით ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრობისას. სახლებში შევარდნები, ტელეკამერების წინ დაჭერები იაფფასიანი ხერხია.

**— ნაცმოძრაობის ყოფილი მაღალჩინოსნები ხელისუფლებაში დაბრუნებითა და ყველას დაჭერით იმუქრებიან. ამის რესურსი აქვთ?**

— აბსურდია... იმდენი ჭკუა აქვთ, მსგავსი განცხადებები არ გააკეთონ. ეს ჭორებია და ნუ ავყვებით. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ნაცმოძრაობას, ალბათ, ექნება ძალა, ამომრჩეველთა ხმების, პლუს-მინუს, 30% მიიღოს. ხელისუფლებაში მოსვლის რესურსი აღარ აქვს. ვადამდელი არჩევნები თუ ჩატარდება, ალბათ, ნაკლები შანსი ექნება... 2016 წლის პარლამენტში შეძლებენ, შექმნან გარკვეული კოალიცია. ნაცმოძრაობა ჩამოსაწერი ნამდვილად არ არის. თუ არჩევნები, რა თქმა უნდა, გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარდება.

**— სამართლიანი არჩევნების ჩატარება გაეჭვებთ?**

— რატომღაც ეჭვი მეპარება, „ქართულ ოცნებას“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების გაყალბება არ სურდეს. გაყალბების შემთხვევაში, ძალიან ცუდ შედეგებს მივიღებთ. ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს არჩევნებში ყოველთვის იყენებს.

**— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები „ქართული ოცნებისთვის“ ხელსაყრელია?**

— უდავოდ. ერთის მხრივ იმიტომ, რომ მისი რეიტინგი სერიოზულად ეცემა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორდება. შესაბამისად, წელიწადნახევრის შემდეგ, უფრო უარეს სურათს მივიღებთ. 2016 წლის ოქტომბერში, „ქართული ოცნების“ მიმართ ნდობა მნიშვნელოვნად შემცირდება. დარწმუნებული ვარ, მიმდინარე წლის მარტში ან აპრილში აუცილებლად გამოჩნდება გარკვეული ძალები, რომლებიც მესამე ძალად მოიაზრებიან და მივიღებთ სხვანაირ პოლიტიკურ სურათს, რომელიც „ქართული ოცნებისთვის“ სასურველი არ უნდა იყოს...



## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის მზად არის!“

**„ჩვენ ვაჩვენეთ და დავუმტკიცეთ აფხაზებსა და ოსებს, რომ მათთან მშვიდობიანი თანაცხოვრება გვინდა“,** — განაცხადა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა პოლიტიკური ნების ნაკლებობაზე ისაუბრა, რომლის არსებობის შემთხვევაში, პრობლემების მოგვარება შესაძლებელია.

**„გასული ორი წლის განმავლობაში გამოვხატეთ ჩვენი ნება, დაგვერეგულირებინა ურთიერთობა რუსეთთან და კარგი მეგობრები გავმხდარიყავით. ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდიდან ჩვენ რუსეთისთვის არანაირი საბაბი არ მიგვიცია, საქართველო რაიმე სახის პროვოკაციაში დაედანაშაულებინა. რუსეთის მხრიდან ჩვენს კონსტრუქციულ და მეგობრულ პოლიტიკას კი იმავე სულისკვეთებით არ უპასუხეს. მათ ააგეს 60 კმ-იანი მავთულხლართების ღობე. ბერლინის კედელი დაინგრა 25 წლის წინ და ახლა, 21-ე საუკუნეში, ჩვენს ტერიტორიაზე ვახდენთ რაღაც გამყოფი ხაზების აღდგენას. მრავალმა ქართულმა ოჯახმა დატოვა სახლ-კარი ამ ბარიერის მიღმა. ეს ჩვენს შორის ნდობას ვერ აღადგენს. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რუსეთი მოახდენდა ყირიმის ანექსიას თუნდაც იმიტომ, რომ ამით, ფაქტობრივად, უკრაინა და უკრაინელები დაკარგა. როგორ უნდა აღადგინო ხალხისა და ქვეყნის ნდობა, როცა მათი ტერიტორიის ანექსიას ახდენ?!“** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

სესიის მედიატორის კითხვას, ფიქრობს თუ არა, რომ რუსეთი რეგიონში წინასწარ ჩაფიქრებულ პოლიტიკას ატარებს, საქართველოს მთავრობის მეთაურმა უპასუხა, რომ რუსეთის ქმედებები ამაზე მიუთითებს:

**„ჩვენ ღია ვართ ნებისმიერი დისკუსიისა და მოლაპარაკებისთვის. რადიკალურად შევცვალეთ ჩვენი პოლიტიკა რუსეთის მიმართ. გვსურდა მათთან ურთიერთობების ნორმალიზება. გამოვთქვით მზადყოფნა მაღალი დონის მოლაპარაკებებისთვის. მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ აუცილებელია ამ შეხვედრისთვის მომზადება. პრეზიდენტმა პუტინმაც განაცხადა, რომ მზადაა საქართველოს ახალ ლიდერებთან შესახვედრად. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენც მზად ვართ ამისთვის, მაგრამ, რასაკვირველია, ამას მომზადება სჭირდება და უნდა ვიყოთ შედეგებზე ორიენტირებულნი. დავამატებ, რომ დღეს ვხედავთ ნების ნაკლებობას“.**

სიტყვით გამოსვლისას ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ევროპულ არჩევანზეც ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კურსი შეუქცევადია.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა მონაწილეობა მიიღო სესიაში: „უკრაინის მიღმა — გადაუჭრელი კონფლიქტები ევროპაში“. ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, სესიაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, სერბეთის პრემიერ-მინისტრი ალექსანდერ ვუჩიჩი და ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვესნა პუსიჩი.

*„ინტერპრესნიუსი“*

## სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა დიდი ოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარეს




შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში მოქალაქეებმა წარმოადგინეს და ნებაყოფლობით ჩააბარეს: 12 გადაჭრილი თოფი, კუსტარულად დამზადებული 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, სხვადასხვა ტიპის 100 ხელყუმბარა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი, სხვადასხვა კალიბრის 5642 საბრძოლო ვაზნა, 10 მჭიდი, ტანკსაწინააღმდეგო 19 ნაღმი, სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერება.

სულ ჩააბარეს: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი, სხვადასხვა კალიბრის 5642 საბრძოლო ვაზნა, 10 მჭიდი, სხვადასხვა ტიპის 100 ხელყუმბარა, 12 გადაჭრილი თოფი, კუსტარულად დამზადებული 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტანკსაწინააღმდეგო 19 ნაღმი, 8 დეტონატორი და 1,5 კგ ტროტილი. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

# როგორ გახდა ნოდარ დუმბაძის ბიძაშვილი დიასპორის მინისტრი



## გელა დუმბაძე თბილისთან ახლოს დიასპორული სოფლის გაშენებას გეგმავს

ვანო პავლიშვილი

**რა საჭიროა ვეებერთელა შესავალი ანუ, როგორც ჟურნალისტები ვამბობთ ხოლმე, ლიდი, რომელიც ერთგვარი სტიგმაა? ჰოდა, დიასპირის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრა დავგეგმე თუ არა, გადავწყვიტე, ლიდზე უარი მეთქვა... მერწმუნეთ, ამ არა-ჩვეულებრივი ინტერვიუს წაკითხვას ნამდვილად არ ინანებთ. მაშ ასე, მომყევით:**

**— სახელი, გვარი, მამის სახელი...**

— გელა მამიას-ძე დუმბაძე...

**— დაბადების თვე და წელი...**

— 1965 წლის 13 ივნისი...

**— ოჯახური მდგომარეობა...**

— მყავს მეუღლე, ქალიშვილი და სამ წლის შვილიშვილი ნიკოლოზი...

**— აღმსარებლობა...**

— მართლმადიდებელი ქრისტიანი...

**— ეკას იცნობთ?**

— ბევრს...

**— ყუშიტაშვილსაც?**

— არა და არც მინდა, ვიცნობდე...

**— რატომ?**

— (იცინის) რატომ უნდა მინდოდეს?.. მალე 50 წლის გავხდები და ყოველთვის მახსენდება ოფიცრის ნათქვამი „დათა თუთაშხიადან", დათა გალანტური კაცი იყო და გამიკვირდა, პორუტჩიკ რამიშვილის მატრაკვეცა და ტუტუც ცოლს რიგი რომ არ დაუთმო. დათამ მითხრა, ტუტუცებად კი არ იბადებიან, მერე ხდებიან და მათ ტუტუცებად ჩვენ ვხდითო... სხვათა შორის, სადიპლომო ნამუშევარი მუშნი ზარანდიაზე მაქვს დაცული. სახელმწიფო ინსტიტუციის უგულებელყოფა ან მისი უარყოფა ჩემთვის, როგორც ამ ქალაქის შვილისა და ადამიანისთვის, რომელსაც რაღაც უნახავს, მიუღებელია.

**— ისე, ეკამ რომ დაგირეკოთ, რას იზამთ?**

— ჩემთან მოვიწვევ და პედაგოგიურ-აღმზრდელობით სამუშაოებს ჩავუტარებ!

**— დადებითი თვისება...**

— წლების განმავლობაში, მოსმენა ვისწავლე...

**— სატელეფონო?**

— არა, ეგ სხვა მოსმენაა, მე ადამიანების პრობლემების გულით მოსმენაზე ვლაპარაკობ. სადაც არ არის მოსმენა, იქ არაა სიყვარული.

**— ესე იგი, სპეცსამსახურები სულ სიყვარულით გვისმენენ, არა?**

— ეს ყოვლად მიუღებელი, ნეგატიური და საზიზღარი საქციელია...

**— უარყოფითი თვისება, ოღონდ პირდაპირ მითხარით და არ დაიწყოთ, ეს სხვამ უნდა თქვასო...**

— იმდენი უარყოფითი თვისება მაქვს, რამდენიც გინდათ...

**— მაგალითად?**

— მაგალითად, გურული ვარ და ცოტა ვჩქარობ ხოლმე. ასევე არ მინდა, გოშას დავემსგავსო.

**— გოშაა ვინაა, ეკას „პონტშია"?**

— არა, ერთი რუსული ფილმის პერსონაჟია...

**— მიდრეკილება ლამბერსექსუალობისკენ ხომ არ გაქვთ?**

— ეს რა არის? ჩათვალეთ, ამ კუთხით „გოიმი" ვარ...

**— აშკარად!**

— (გულიანად იცინის)

**— წელს მოდურად ლამბერსექსუალი ანუ წვეროსან-დაუვარცხნელი მამაკაცი ითვლება... ვატყობ, თმას ველარ გაიზრდით — ჩემი არ იყოს, სიმელოტისკენ გაქვთ მიდრეკილება... ოდესმე „სემსოროკი" გიცეკვიათ?**

— არა!

**— ახალგაზრდობაში, დავიჯერო, აღვირახსნილი არაფერი გაგიკეთებიათ?**

— „სემსოროკი" აღვირახსნილია?

**— თქვენს ახალგაზრდობაში „სექსუალურ ცეკვად" ითვლებოდა...**

— „სემსოროკი" არა, მაგრამ ბევრი თავისუფალი ცეკვა მიცეკვია, ახლაც ვცეკვავ და კიდეც ვიცეკვებ...

**— ციკნის მწვადი გიჭამიათ?**

— (გულიანად იცინის) ხადურიზმი შემოგაქვთ?

**— ხადური რა შუაშია?**

— სხვათა შორის, კარგი კაცია, თავი დაანებეთ...

**— თავი დანებებული მაქვს, უბრალოდ, ციკნის მწვადზე ხადური თქვენ გაგახსენდათ!**

— ყველას აქვს უფლება, ციკნის მწვადი ჭამოს.

**— რა თქმა უნდა, ოღონდ არა ბიუჯეტის ხარჯზე...**

— გეთანხმებით, ჩინოვნიკმა ბიუჯეტის ხარჯზე თავს გაუმართლებელი კომფორტის უფლება არ უნდა მისცეს. თუ ჩემს სახელზე რამე მსგავსს იპოვით, მაგალითად, პრემია ან დანამატი გამოვიწერე, თქვენი ზარი იქნება საკმარისი, რომ გადავდგე!

**— რა ამის პასუხია და, როგორც გავიგე, ირანი გყვარებიათ...**

— ირანში ნამყოფიც არ ვარ... უბრალოდ, ფერეიდნელ ქართველებთან მაქვს ურთიერთობა — ამას წინათ, უკრაინის მხარდასაჭერად, უკრაინის საელჩოდან თავისუფლების მოედნამდე, მინი-მარათონი ვირბინეთ. სხვათა შორის, ფერეიდნელ და ინგილო ქართველებთან ერთად, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლიც გავიღეთ.

**— უკაცრავად, სხვა რამის კითხვას ვაპირებდი, მაგრამ თვალი მოვკარი — კარადაში პრემიერის სურათი გიდევთ. რატომ?**

— (იცინის) „კონიუნქტურშჩიკი" ვარ!

**— პრემიერის ახლობელი ხართ, არა?**

— ამას ვერ ვიტყვი... პრემიერი მაშინ გავიცანი, როცა მინისტრობა შემომთავაზა...

**— თუ პრემიერის ახლობელი არ ხართ, აბა, ამ გაუგებრობაში როგორ მოხვდით, მინისტრი რომ გამხდარიყავით, ხელი ვინ წაგიკრათ?**

— 16 წელი დიპლომატიაში ვმუშაობდი — ოთხ საელჩოში მრჩეველი და უფროსი მრჩეველი ვიყავი, ბოლოს კი, უზბეკეთში ელჩის მოვალეობას ვასრულებდი...

**— ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ნაციონალების დროს იყავით?**

— რას ნიშნავს, ნაციონალების დროს?.. შევარდნაძის დროსაც ვიყავი, ნაციონალებისა და ფანჯიკიძისაც...

**— ბერუჩაშვილივით ყოფილხართ...**

— ბერუჩაშვილს ვერ მოვესწარი...

**— ეგ ვიცი, მაგრამ ისიც, თქვენი არ იყოს, ყველა მთავრობაშია ნამუშევარი...**

— ვერ დაგეთანხმებით...

**— ნუ დამეთანხმებით, ფაქტი ჯიუტია: 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მთავრობაში სხვადასხვა პოზიციაზეა...**

— დიპლომატია კონკრეტული დარგია და დიპლომატმა, რომელიც ვთქვათ, აზერბაიჯანშია მივლინებული, მთავრობა რომ შეიცვლება, რა ქნას, წავიდეს?!

**— არა, არ უნდა წავიდეს, მაგრამ არც ემოციურ გაუგებრობაში უნდა აღმოჩნდეს!**

— დიპლომატი თავისი დარგის ისეთივე ინჟინერია, მაგალითად, როგორც მშენებელი. საერთოდ, დიპლომატი ზეპარტიულია და, წესდებაში წერია, რომ პარტიული არ უნდა იყოს.

რაც შეეხება ემოციურ გაუგებრობას, ეს ყველა პროფესიას ახლავს... სხვათა შორის, დღესაც თავს საკადრო დიპლომატად ვთვლი...

**— მერე, მინისტრობაზე რატომ დათანხმდით?**

— დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში მინდოდა დაბრუნება.

**— დაბრუნებულიყავით საქართველოში და მინისტრის მოადგილე გამხდარიყავით. პრინციპში, მინისტრი კი ხართ, მაგრამ მაინცდამაინც დიდი პასუხისმგებლობა არ მოგეთხოვებათ — ემიგრანტები თქვენამდეც იყვნენ და თქვენს მერეც იქნებიან...**

— მინისტრობა არავისთვის მითხოვია.

**— ესე იგი, მინისტრობა „ჩაგიდეს"?!**

— ყოფილი მინისტრი ძალიან კეთილად წავიდა და ახლა ნიდერლანდებში ჩვენი ელჩია...

**— ვიცნობ — კოტე სურგულაძე კარგი „ტიპია"...**

— მასთან დღესაც კარგი ურთიერთობა მაქვს...

**— მსმენია, ნაციონალების დროს, ემიგრანტთა სამინისტროს ეგიდით, უცხოეთში, ქართველ ემიგრანტებზე ჩოხები იყიდებოდაო... სამინისტროში რა დაგხვდათ?**

— რაღაცები კეთდებოდა, რაც გაგრძელდა, განვითარდა და პროექტებს ახალი ნიუანსებიც დაემატა. ჩვენი მთავარი ამოცანა დიასპორის ცნობადობის გაზრდაა. მათი ყოფა სოციალური გმირობის ტოლფასია.

**— გმირობა რა შუაშია?**

— საზოგადოებამ ქვეყნის განვითარებაში დიასპორის როლი თუნდაც იმ თვალსაზრისით უნდა გაითავისოს, რომ ჩვენი ემიგრანტები საქართველოში ყოველწლიურად მილიარდნახევარ დოლარს რიცხავენ...

**— ბატონო გელა, ცუდი ამბავი უნდა გითხრათ...**

— მითხარით...

**— ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში, დიასპორას ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა შესთავაზა, ფულს გადაგიხდით და ქართველმა ემიგრანტებმა პუტინის მხარდამჭერი მიტინგი მოაწყვეთო. ხაზს ვუსვამ: ეს დადასტურებული ინფორმაციაა!..**

— ასეთი საუბარი სწორ ფორმად არ მიმაჩნია! სხვათა შორის, დიასპორის მინისტრს არ შეუძლია, რომელიმე ქვეყნის დიასპორაში ვინმე მოხსნას ან ყური აუწიოს... ეს ამბავი როდის მოხდა?

**— ზაფხულში...**

— ჩემი მინისტრობის დროს?

**— არა, ვიდრე თქვენ გამინისტრდებოდით...**

— (იღიმება) შვებით ამოვისუნთქე... საბიუჯეტო თანხების ხარჯვა გაწერილია და მაინტერესებს, ჩინოვნიკს, თუ ასეთი აზრი მოუვიდა, ფული როგორ უნდა გადაეხადა?

**— ამ ამბავში პრობლემა მხოლოდ საბიუჯეტო თანხებია?**

— არა, პრობლემა მორალია — რას ჰქვია, ფულს გადაგიხდი, გამოდი და რუსეთს მხარი დაუჭირე ანუ გაიყიდეო? კონკრეტულ ფაქტებს თუ მომაწვდით, ზომებს დაუყოვნებლივ მივიღებ!

**— ბატონო გელა, იცით, ამ თემაზე ლაპარაკი რატომ დავიწყე? — „ოცნება" თავს პროდასავლურად აცხადებს, მაგრამ ეგებ, თქვენს ხელისუფლებაშივე არიან ადამიანები, ვინც ძირს გითხრიან?**

*ვიდრე კითხვაზე მიპასუხებდა, მინისტრმა ხელი შოკოლადისკენ გააპარა. ჰოდა, მეც ჩავეკითხე:*

**— ტკბილი გიყვართ?**

— კი, მიყვარს, მაგრამ ვიცი, არ შეიძლება.

**— მართალი ხართ** *(ხელს ახლა ერთ-ერთი გამაგრილებელი სასმელისკენ აპარებს).*

**— არც მაგის დალევა შეიძლება, ამბობენ, ქიმიააო...**

— იცით, ამ სასმელს რას ვეძახი? — ბენზინს.

**— ჰოდა, თუკი იცით, რომ ბენზინია, როგორც ცხონებული ბებიაჩემი იტყოდა, რაღას ეკვლევინებით? ქართული მინერალური ან ჩვეულებრივი წყალი მიირთვით, თან ჩვეულებრივი წყალი ჯანმრთელობისთვისაც კარგია და წონის კორექციისთვისაც...**

— ცხონებული მამაჩემი ისტორიკოსი გახლდათ და მეგობარი ეუბნებოდა ხოლმე, მამია, გურიაში რომ ჩაიყვან, შვილებს გუბაზეულის წყალი აუცილებლად დაალევინეო. ერთხელ, გურიაში რომ ჩავედი, ეს ნათქვამი გამახსენდა, გუბაზეულის წყალი დავლიე და კინაღამ ცუდად გავხდი...

**— დღეში რამდენ ლიტრ წყალს სვამთ?**

— დაახლოებით, ერთ ლიტრს...

**— ცუდია, გირჩევთ, მოუმატოთ!.. მოკლედ, „ოცნებას" ძირს შიგნიდანვე ხომ არ უთხრიან?**

— მაქვს ინფორმაცია, რომ „ოცნებაში", განსაკუთრებით, რეგიონებში ის ხალხი შევიდა, ვინც გუშინწინ სხვა პარტიაში იყო და „ოცნებას" პრობლემებს უქმნიდა. ყველაფერს აკადემიური, მკაცრი და სერიოზული მიდგომა სჭირდება და უნდა იცოდე, შენს რიგებში ვინ შემოდის. თუ დღეს ამაზე თვალს ხუჭავ, ხვალ ისე დაგიბრუნდება, როგორც კონტრპროდუქცია. არ გამოვრიცხავ, რომ ადგილებზე ასეთი რაღაცები ხდება...

**— გულით „ოცნებელი" ხართ?**

— გულით ჩემი ქვეყნის მოქალაქე ვარ!

**— მართლა „კონიუნქტურშჩიკი" ბრძანდებით?**

— არა, წეღან ვიხუმრე...

**— შეიძლება, მაგრამ პრემიერის სურათს თვალი მოვკარი თუ არა, მიშას დრო გამახსენდა — ყველა მინისტრსა თუ წვრილ ჩინოვნიკს სააკაშვილის პორტრეტი რომ ეკიდა...**

— ეს სურათი არ კიდია, კარადაში დევს — თანამშრომელმა ჩარჩოში ჩასვა და დამიდო, რა მექნა?! თან კარგი სურათია — ორივეს გვეღიმება!

**— ააა, ფოტოზე თქვენც ხართ აღბეჭდილი? — მხოლოდ პრემიერის სახე ჩანს...**

— გაჩვენებთ და შეგიძლიათ, გაზეთშიც დაბეჭდეთო...

**— როგორ გურულად შემომაპარეთ, თუ გინდა, დაბეჭდეთო...**

— ნოდარ დუმბაძის მკვიდრი ბიძაშვილი ვარ... წყალს დალევთ?

**— რატომაც არა?! ბატონო გელა, თქვენი სამინისტროს ერთ-ერთი მიზანი, ლოგიკით, ემიგრანტების დაბრუნებაა, მაგრამ მე რომ ემიგრანტი ვიყო, სამშობლოში, სადაც ეკა ყველაზე მაგარი „ტიპია" და სხვა უამრავი პრობლემაცაა, რატომ უნდა დავბრუნდე?**

— ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რა თქმა უნდა, ემიგრანტთა დაბრუნებაა, მაგრამ ისინი ღირსეულად უნდა დაბრუნდნენ, თუმცა დღეს ქვეყანაში სათანადო პირობები არაა. დაბრუნება მოწოდებით კი არა, მრავალი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტის გათვალისწინებით ხდება. ჩვენი მიზანია, დიასპორას რეალური სურათი ჰქონდეს და თავისი თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებაში ხელი შევუწყოთ. დიასპორებთან მართალი, გულწრფელი ურთიერთობა გვაქვს...

**— უცხოეთში მცხოვრებ შეძლებულ ქართველებს საქართველოში ინვესტიციების დაბანდებისკენ არ მოუწოდებთ? სხვათა შორის, ვიცი, ერთ თურქეთელ ქართველს სურს, თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა ისტორიულ სამშობლოს დაუტოვოს...**

— ეს ქართველი სვიმონ ზაზაძეა... ბიბლიოთეკას ე.წ. ფოლოვ აფი სჭირდება!

**— ნოდარ დუმბაძის ბიძაშვილმა ქართულად რომ იმეტყველოს, არ შეიძლება?**

— „ფოლოვ აფი“ ანუ განგრძობითობა, თანმიმდევრობა, ჩაყოლა სჭირდება, თან ვთქვი, ე.წ. ფოლოვ აფი-მეთქი და, როცა ე.წ-ს ამბობ, შეგიძლია, ნებისმიერი აბრევიატურა გამოიყენო...

**— ერთი სოფლელი ბიჭი ვარ და ამდენი აბა, საიდან უნდა ვიცოდე? ისე, დედოფლისწყაროელი ვარ, თუმცა პრემიერის სურათი არ მაქვს...**

— გაიხარეთ, გაიხარეთ... ყველაფერი წინაა!.. „ფოლოვ აფს“ აღარ გამოვიყენებ.

**— ეს რა მორჩილი მინისტრი ხართ!**

— როცა მეკითხებიან, შენი მიზანი რა არისო, ვპასუხობ, მინისტრო რომ აღარ ვიქნები, რუსთაველზე ისე ლაღად გავიარო, როგორც ამას მთელი ცხოვრება ვაკეთებდი-მეთქი.

**— ბატონო გელა, მერწმუნეთ, ნამინისტრალს ქუჩაში ლაღად სიარულის პრობლემა არ გექნებათ, რამეთუ ხალხმა თქვენი კი არა, დიასპორის სამინისტროს არსებობაც არ იცის...**

— რა ვქნა? ვინმე გავლახო, რომ გამიცნონ?! თუ ვინმე დაინტერესებულია, ნახავს ჩვენს ვებგვერდს, შევა facebook-ზე, ჩემს ინტერვიუებს წაიკითხავს და გაიგებს, რომ იმ საბიუჯეტო სახსრების გათვალისწინებით, რაც წელიწადში 600 ათასი დოლარია, მჩქეფარე ცხოვრება მიდის. სხვათა შორის, თანამშრომლებს ვუთხარი, არათუ ინვესტორები, მესამეკლასელი ბავშვიც რომ მოვიდეს და ჩემთან შეხვედრა ითხოვოს, შემოუშვით-მეთქი. ახლა უკრაინაში ვაპირებ წასვლას...

**— წამიყვანეთ!**

— გადაიხადეთ და წაგიყვანთ!

**— 600-ათასიანი ბიუჯეტი გქონიათ და კიდევ მე მახდევინებთ?**

— ამ თანხის დიდი ნაწილი ჩემი 35 თანამშრომლის წლიური ხელფასია.

**— 35 თანამშრომელი რისთვის გჭირდებათ?**

— მუშაობა საკმაოდ ეფექტურად ხორციელდება...

**— ...გინდათ, ცნობადი იყოთ?**

— არა, დავიღალე... ახალი თაობა შეიძლება, არ მიცნობს, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს, როცა დავითგარეჯასა და სხვა სტუდენტური აქციები იყო, საკმაოდ ცნობადი ვიყავი და დიდების საყმაწვილო სენი მე-4-5 კურსზე გავიარე...

**— ემიგრანტი რომ იყოთ, გელა დუმბაძე, როგორც მინისტრი, მოგეწონებოდათ?**

— არ ვიცი... 12 წელი უცხოეთში ვიყავი...

**— უცხოეთში ემიგრანტის კი არა, დიპლომატის სტატუსით იყავით!**

— დიახ, მაგრამ ძალიან ბევრი ემიგრანტის ცხოვრება ნანახი მაქვს.

**— ნახვა ერთია, სამუშაოს ძებნის განცდა კი — მეორე...**

— ეს თავის დროზე თბილისში მაქვს განცდილი. სახელმწიფო მაღალი რანგის ჩინოვნიკი, რომელსაც ყველაფერი მზამზარეული აქვს, ვერასოდეს ვერაფერს მიხვდება. მე კი, ქართველი ხალხის მსგავსად და მათთან ერთად, ყველაზე ცუდი წლები გავიარე...

**— ბატონო გელა, ნატო თუ რუსეთი?**

— ნატო!

**— ძალიან კარგი — როგორც სახელმწიფო მოხელე, უკვე მომწონხართ!**

— რუსეთი ჩემთვის ლოგიკური სისტემა არაა!

**— რუსეთი ოკუპანტია?**

— რა თქმა უნდა!

**— აგაშენათ ღმერთმა!.. ნოდარ დუმბაძე გახსოვთ?**

— ძალიან კარგად... 14 წლის ვიყავი, როცა თავის 50 წლის იუბილეზე, ნოდარი თბილისიდან ჩვენს სოფელში, ზენუბანში გაიპარა და მასთან ერთი კვირა გავატარე. მახსოვს, მე და ცხონებულ მამაჩემს „მარადისობის კანონის“ ხელნაწერს გვიკითხავდა.

**— ნოდარ დუმბაძის სახელი რამეში დაგეხმარათ?**

— არა, თუმცა თვითონ მეუბნებოდა, ჩემი სახელი გამოიყენეო. ნოდარი რომ გარდაიცვალა, სამხედრო სამსახურს ვიხდიდი და ძალიან მომაკლდა...

*ანაზდეულად საუბრის თემა შეიცვალა. მინისტრმა იკითხა, დღეს რა დღეაო. ჩემდაუნებურად ისევ ეკა ყუშიტაშვილის სკანდალი გამახსენდა და ვიხუმრე, ეკაობიდან მეორე დღეა გასული-მეთქი. გელა დუმბაძემ გულიანად გაიცინა, თან დააყოლა, ოჰ, რა საზიზღარი ხარო.*

**— ბატონო გელა, საზიზღარი რატომ ვარ?**

— ეს სითბოთი გითხარით...

**— ოჰ, რა ხართ ეს გურულები!.. მინისტრობამ თქვენს ცხოვრებაში რა შეცვალა?**

— კედლებზე ნახატებს ხომ ხედავთ?

**— დიახ...**

— ჰოდა, ვეღარ ვხატავ...

**— ესე იგი, მხატვრობით ხართ გატაცებული?**

— აი, მაგალითად, იმ ნახატს „სექსუალური მსხლები“ ჰქვია, მეორეს კი, — „კატარინა ავტობანზე“...

**— მშვენიერი ნახატებია, სექსუალური აქცენტებით...**

— ამის გარეშე ცხოვრებაც ხომ ნაკლებად საინტერესოა?

**— ბატონო გელა, კარგ ქვეყანაში ვცხოვრობთ?**

— დიახ, ჩემი სამშობლო უნიკალურია და ძალიან მიყვარს!

**— სამშობლოსაც უყვარხართ?**

— კი, ვუყვარვარ...

**— ბატონო გელა, რა ამის პასუხია და, სავიზო აკრძალვებმა განსაკუთრებული პრობლემა ინგილოებს შეუქმნათ...**

— ამ საქმეში ჩართულები ვიყავით — ჩვენი თანამშრომლები სხვადასხვა ინსტანციაში მიყვნენ და პრობლემა მოგვარებულია.



**— ისე, როგორ ფიქრობთ, სავიზო აკრძალვები გამართლებულია?**

— ქვეყანას თავისი იმიჯი და ღირსება უნდა ჰქონდეს. რა, სავიზო შეზღუდვები გერმანიაში ან დიდ ბრიტანეთში არ არსებობს?! როგორ ფიქრობთ, თქვენი სახლის კარი უნდა იკეტებოდეს?

**— სხვათა შორის, ცუდად იკეტება...**

— ჩვენი სავიზო რეჟიმიც, დაახლოებით, ასეა — ცუდად იკეტება...

**— რუსეთში მცხოვრებ მილიონობით ემიგრანტს რას უპირებთ?**

— ურთიერთობისა და დიალოგისთვის კარი ყოველთვის ღია გვაქვს. იქ ბევრი დიასპორული ორგანიზაცია დაიხურა, ხალხი მოდის და გვეკითხება, რა ვქნათო.

**— მერე, რას ურჩევთ?**

— ახალგაზრდული კონტაქტების განვითარებას — სადაც ახალგაზრდობა არაა, იქ არაფერი ხდება.

**— ოდესმე დადგება დრო, როცა ემიგრანტთა თუნდაც ნაწილი სამშობლოში დაბრუნდება?**

— აუცილებლად...

**— ემიგრანტების დაბრუნებას „ოცნება“ შეძლებს?**

— ჩვენ, ყველამ ერთად უნდა შევძლოთ... სამოქალაქო საზოგადოებამ ევროპული ქვეყანა უნდა ააშენოს, სადაც ცხოვრების დიდი ხიბლი იქნება...

**— როგორც ვიცი, ემიგრანტებში ნაცმოძრაობა „ოცნებაზე“ პოპულარულია...**

— რომელიმე ქვეყანაში შესაძლოა, ასეცაა...

**— ამას რით ხსნით?**

— ოთხი წელი კიევში ვმუშაობდი და უკრაინელები საქართველოს რეფორმებით, უფრო სწორად, რეფორმების ზედა ნაწილით აღფრთოვანებულნი იყვნენ, რადგან იმ ნეგატიურ პროცესებს, რის ხარჯზეც ეს ყველაფერი ხდებოდა, ვერ გრძნობდნენ. ისინი მხოლოდ შედეგებს აღიქვამდნენ და ნაცმოძრაობაც ამას ამბობდა, აი, ჩვენ შედეგს მივაღწიეთო. ნეგატიური პროცესები — ღამით პროკურატურაში დაბარება თუ ქონების გასხვისება არც დიასპორას აქვს განცდილი.

**— ყველაფერი ეს ბელეტრისტიკაა — ქონების წართმევისა თუ სხვა უკანონობის ერთი ფაქტიც არ დადასტურებულა...**

— ბევრი რამ დროს მოითხოვს, ბევრიც უნიათო შრომის შედეგია... ქართველ ხალხს კასრებში ნაპოვნი ვიდეომასალა რომ ენახა, დარწმუნებული ვარ, ყველაფრის სხვანაირი აღქმა მოხდებოდა...

*ისევ ტელეფონმა დარეკა. მინისტრმა ყურმილში ჩასძახა, კორესპონდენტი მყავს... კორესპონდენტიო. მივხვდი, თანამეცხედრე ურეკავდა. ყველა ზარს ვპასუხობო, — მამცნო თანამოსაუბრემ. ჰოდა, თუ ყველა ზარს პასუხობთ, გადაგამოწმებთ-მეთქი...*

**— ბატონო გელა, მომეჩვენა, რომ მეუღლეს ცოტა მკაცრად დაელაპარაკეთ...**

— სიყვარულით...

**— უხეშობა სიყვარულის გურული ფორმაა?**

— ვეუბნები, დაკავებული ვარ-მეთქი, ეტყობა, ვერ გაიგო და მაინც გააგრძელა...

**— რატომ გირეკავდათ?**

— რა ვიცი, რატომ მირეკავდა... ნუ გეშინიათ, კიდევ დარეკავს... ირინა ძალიან მიყვარს — 27 წელია, ცოლ-ქმარი ვართ...

**— ესე იგი, 27 წელი ერთი ცოლი გყავთ?**

— დიახ...

**— რამდენჯერ უღალატეთ?**

— ღალატი რას ნიშნავს? — გონებრივს, ფიზიკურს...

**— ორივეს...**

— გონებით ყველა შემოქმედი ადამიანი მოღალატეა...

**— თქვენზე კომპრომატები არსებობს?**

— არ ვიცი... ალბათ...

**— კასრებში?**

— ვანო, ისეთი პროფესიონალი ხართ, აქ რომ მოდიოდით, იცოდით, რომ ჩემზე კომპრომატი არ არსებობს... ვის რაში ვჭირდებოდი, კომპრომატები რომ შეექმნა?

**— ისე, დიასპორის სამინისტრო, როგორც მახსოვს, თავის დროზე მიშას ინიციატივით შეიქმნა...**

— დიახ, თუმცა სამინისტროს შექმნამდე, 1998 წელს, როცა საგარეო საქმეთა სამინისტროში სტაჟიორად ვიყავი, მაშინდელი მინისტრის, ირაკლი მენაღარიშვილის სახელზე ვრცელი მოხსენებითი ბარათი დავწერე და სამინისტროში დიასპორის საკითხებზე მომუშავე სამმართველოს შექმნა ვითხოვე. შესაბამისი კონსულტაციები ცხონებულ გურამ შარაძესთან გავიარე, რომელიც პარლამენტში შესაბამისი ქვეკომიტეტის თავმჯდომარე იყო...

**— ესე იგი, მიშამ იდეა მოგპარათ?**

— არავის არაფერი მოუპარავს... სამინისტროს გახსნამდე, საგარეო საქმეთა სამინისტროში დიასპორის სამმართველოს უფროსი ვიყავი... მოკლედ, კანონზომიერად მოხდა, რომ ამ ორგანიზაციის მინისტრი ვარ. თუ ხვალ და ზეგ ვიგრძნობ, ამ უწყების მუშაობა ეფექტური არაა, მის გაუქმებაზე მოხსენებით ბარათს პირველი მე დავწერ...

**— პოლიტიკოსი ხართ?**

— ვფიქრობ, ვარ, თუმცა ჩემი პოლიტიკოსობა კაბინეტით არ დაწყებულა.

**— აბა, რით დაიწყო?**

— სტუდენტობის დროს დავითგარეჯას აქციებით... მერე, ერთ-ერთი პირველი კერძო სკოლის დირექტორი და ძეგლთა დაცვის ახალგაზრდული გაერთიანების თავმჯდომარეც ვიყავი...

**— ყველა ქართველში მხოლოდ პოეტი კი არა, პრეზიდენტიცაა. თქვენი ჩინოვნიკობა ამ კაბინეტში დამთავრდება თუ უფრო ზევითაც წახვალთ?**

— არ ვთვლი, რომ აქ დამთავრდება, მაგრამ ზევით არ მინდა. ვცხოვრობ, ვცდილობ, ვიმოღვაწეო, ვიმოქმედო, წინაპრების მთავარი მემკვიდრეობა — ბრძოლა და შრომა შევინარჩუნო და დინამიურ ტემპში ვიყო. აი, ასეთი ნატურა ვარ... მოკლედ, არც პრემიერობის სურვილი მაქვს და არც პრეზიდენტობისა.

**— კომპლექსები გაქვთ?**

— მთელი ცხოვრება კომპლექსებს ვებრძვი, მაგრამ ალბათ, მაინც მაქვს...

**— სხვების მსგავსად, თქვენც თვლით, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი ჟურნალისტების ბრალია?**

— რას ჰქვია, ჟურნალისტების ბრალია და სხვა სექტორებს ხელიც დაუბანიათ? ჟურნალისტები იმისთვის იბრძვიან, მზისქვეშეთში თავიანთი ადგილი ჰქონდეთ.

**— თქვენ, ჩინოვნიკებიც ამისთვის იბრძვით!**

— რასაკვირველია!

***დიასპორის მინისტრი მოთხრობებს წერს, სხვათა შორის, კარგად... საერთოდაც, გელა დუმბაძე უშუალო ადამიანია, თან იმდენად უშუალო, სამინისტროს კორპორატიულ საღამოზეც დამპატიჟა, შაბათს „ბულბულების ჭალაში“ „სალა-ფართს“ ვაწყობთ და წამოდითო. აუცილებლად-მეთქი. მინისტრმა პიარსამსახურის ხელმძღვანელს იქვე უთხრა, ვანოს თუმანი არ დაადებინოთო. არა, რას ამბობთ, ბატონო გელაო, მიუგო თანამშრომელმა... შაბათისთვის არაფერი დავგეგმე — „სალა-ფართისთვის“ ვემზადებოდი, მაგრამ... დიასპორის საკითხების სამინისტროდან არავინ შემხმიანებია... ალბათ, „პიკნიკი“ გადადო. ისე, რა დროს პიკნიკია, როცა გელა დუმბაძე, თავის გუნდთან ერთად, მართლაც, მაგარ იდეას ამუშავებს — უნდა, თბილისთან ახლოს, მიწის მიტოვებულ ნაკვეთზე ე.წ. დიასპორული სოფელი გაშენდეს, სადაც უცხოეთში მცხოვრები ქართველები ფულს დააბანდებენ... ჩვენს ქვეყანას დღეს ყველაზე მეტად სწორედ ინვესტიციები სჭირდება!***

პატიმარი №0578

# ბათუმელი სულხანი, ზურაბ ადეიშვილი და რემბრანდტის 3-მილიონიანი ნახატის საიდუმლო

## რატომ არ უნდა პატიმარს ვადაზე ადრე გათავისუფლება



**მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ სამოქალაქო ომიც გადაიტანა და მთელი დოვლათი, პრაქტიკულად, მშრალ ხიდზე გაიყიდა, ხალხს დღემდე მაინც შემორჩა ისეთი ნივთები, რომლებიც მსოფლიო მნიშვნელობისაა და მილიონები ღირს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებსაც შინ მილიონებად შეფასებული ნახატებიც უდევთ, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იციან. სამაგიეროდ, მათი ფასი იმ ექსპერტებმა უწყიან, ვისთანაც გაჭირვებულ ადამიანებს ეს ნახატები მიაქვთ და, საბოლოოდ, სხვადასხვა გზით (ძირითადად, რუსეთის გავლით), ევროპაში ხვდება. ყველაზე კარგად კონტრაბანდული გზით გატანილი ნახატები ინგლისში იყიდება, თუმცა ტრანსპორტირება დიდ რისკთანაა დაკავშირებული.**

ბათუმელი სულხან ნ. ობლობაში გაიზარდა და, როცა სკოლა დაამთავრა, ბიძამისმა გადაწყვიტა, ძმისშვილისთვის ძველი ნაკეთობების შეფასება ესწავლებინა. ამიტომ, რუსეთში გაგზავნა და რამდენიმე წელიწადში, სულხანი ნამდვილ ექსპერტად დაბრუნდა — თვალის ერთი შევლებით ხვდებოდა, რა ნივთი რა ღირებულების იყო. სულხანი „დოვლათს“ მაღალმთიან სოფლებში ეძებდა და მაღალმთიან აჭარაში ვერცხლის ნაკეთობებსა თუ ფაიფურის ვაზებში ას ან ორას დოლარს იხდიდა, შემდეგ კი, ბიძამისის მაღაზიაში ათასებად ჰყიდდა. საქმე იმდენად სარფიანი იყო, აჭარის მაშინდელი მმართველი, ასლან აბაშიძეც კი დაინტერესდა და ანტიკვარიატის მაღაზიას პირადად მიაკითხა. ერთი ვაზა მოუვიდა თვალში, ფასი იკითხა და როცა უთხრეს, 30 ათასი დოლარი ღირსო, ეძვირა. ბიძას გაეღიმა, არ არის ძვირი, ასლან ბატონო, სამი ცალი უკვე გავყიდეთო. სულხანმა ბიძას მწყრალად შეხედა. მეორე დღეს მაღაზიაში ფინანსური შევიდა, ყველაფერი აღწერა და... საღამოს ბიძა ინფარქტით გარდაიცვალა. დარჩა სულხანი მარტო, საქმე კი გადაიბარა, მაგრამ მუშაობა აღარ შეიძლებოდა — აჭარის მთავრობამ ბუღალტერი ჩაუსვა და მოგების თითქმის 90 პროცენტი მიჰქონდა.

ორ თვეში, სულხანმა მაღაზია დაკეტა და თბილისში წამოვიდა, ანალოგიური მაღაზია მრგვალ ბაღთან გახსნა, დილით, მშრალ ხიდზე შეირბენდა, ნივთებს თვალს გადაავლებდა, რაღაცას დაიწუნებდა, რაღაცას მოიწონებდა და რამდენიმე თვეში იმავე მრგვალ ბაღთან ოთხოთახიანი ბინაც იყიდა. პოლიციას ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია — სულხანს შემოწმება ახლადმოსულმა ხელისუფლებამ დაუწყო და ისიც მშვიდად ისტუმრებდა, თუმცა ყველაფერი ერთ დღეს აირია.

სულხანი მაღაზიის დაკეტვას აპირებდა, როცა უცნობი ქალბატონი მივიდა, ნახატის დაგირავება მინდაო. ტილოდან სათუთად ამოაძვრინა ნახატი და სულხანს სუნთქვა შეეკრა — რემბრანდტმა შეანათა. ჯერ თვალებს არ დაუჯერა, მერე შეამოწმა, მერე კიდევ ერთხელ გადაამოწმა, ინტერნეტში ნახა, მიხვდა, საქმე დაკარგულ ნახატთან ჰქონდა და რაც შეიძლებოდა, მშვიდად იკითხა: „რამდენი გნებავთ, ქალბატონო?!“

„არ ვიცი, შვილო, ფული მჭირდება და რამდენს მომცემ? ეს ნახატი ევროპიდან ჩამოიტანეს. მგონი, ცუდი არ უნდა იყოს და იმის ნახევარი მომეცი, რაც ღირს, მერე გადავიხდი, რელიქვიასავითაა ჩვენთვის“, — უთხრა ქალმა.

„ორი ათასი შემიძლია მოგცე და ისიც იმიტომ, რომ ნახატი მართლა მომწონს“, — უთხრა სულხანმა და ნახევარ საათში ქალი შინ მიდიოდა ორი ათასი დოლარით, სულხანი კი უკვე მერამდენედ აახლებდა ინტერნეტში გვერდს, სადაც გარკვევით ეწერა: „რემბრანდტის დაკარგული ნახატის ფასი, მინიმუმ, ორი მილიონი დოლარი“...

რამდენიმე თვის შემდეგ, ქალი ისევ გამოჩნდა, ტირილით უთხრა, საშუალება არ მაქვს და რასაც მომცემ, მომეცი, ეგ ნახატი შენი იყოსო. სულხანმა სამი ათასი დოლარი მიუთვალა, საბუთები გააფორმა, ნახატი სეიფში საგულდაგულოდ შეინახა და შინ წავიდა. ორი თვის შემდეგ, სულხანის მაღაზიაში ახალგაზრდა კაცი მივიდა, თან ის ქალი მიიყოლა და ნახატი მოიკითხა.

„ეს ქალი მამიდაა ჩემი. ის ნახატი რელიქვია გახლავთ, ფულს დაგიბრუნებთ და ნახატი გვინდა წავიღოთ“, — თქვა კაცმა.

სულხანმა ჟურნალი გადმოიღო და ჩანაწერი აჩვენა, რომლის მიხედვითაც ნახატი რამდენიმე კვირის წინ, ვიღაც უცხოელმა 30 ათას დოლარად იყიდა.

„იტყუები, შე ნაბიჭვარო“, — უცებ იფეთქა კაცმა და სულხანს ხელი გაარტყა. მაღაზიაში რამდენიმე კაცი შემოვარდა, ყველაფერი გადააქოთა, სეიფიც გახსნა, მაგრამ ნახატი არსად იყო.

„ხომ გითხარით, გაიყიდა-მეთქი. სარფიანად გავყიდე, მე რა ვიცოდი, თუ მოაკითხავდი, ყველაფერი გავარკვიე ამ ქალთან“, — ამბობდა სულხანი, მაგრამ...

„რა 30 ათასი, შე ბოზო? რემბრანდტი იყო და ეს შენ ყველაზე კარგად იცი. მილიონები ღირს, ამიტომ, ან მოიტან, ან არადა, ცოცხლად დაგწვავთ“, — ღრიალებდა მოსული.

მერე, ყველაფერი მალე დასრულდა: სულხანის „მერსედესი“ გაჩხრიკეს, იქიდან სუბუტექსის 11 აბი ამოიღეს და დააკავეს. რვა თვის განმავლობაში, გლდანის ციხეში ჰყავდათ სულხანი, რვა თვის განმავლობაში სცემდნენ და აწამებდნენ, მაგრამ ის ჯიუტად ერთსა და იმავეს იმეორებდა: რემბრანდტი ვიღაც უცხოელმა იყიდაო. სასამართლომ სულხანს 15 წელი მიუსაჯა...

„ეს კაცი რაღაც დამფრთხალი მეჩვენება. თან ოფიცრებიც ისე ექცევიან, როგორც ძონძს, მაგრამ არ არის ვიღაც. ბარათზე, კვირაში ერთხელ, ასი დოლარი უჯდება, არადა, არავინ ჰყავს“, — უთხრა პატიმარ №0578-ს მეგობარმა, როცა სულხანი მათ საკანში შეიყვანეს.

„ჯერ ერთი, დოლარი ვერ დაუჯდება — ბარათებზე ლარი გვერიცხება, ხოლო რაც შეეხება უცნაურობას, ამ ჯოჯოხეთში ყველა გავგიჟდებით მალე. შეეშვი, ერთი საწყალი კაცია“, — უპასუხა №0578-მა.

„მომისმინე, მე გეუბნები, რომ ასი დოლარი უჯდება ყოველ კვირა. ლარი როგორც თამაშობს თეთრებით, ისე თამაშობს ამის ასი დოლარიც. ქვითარი ხომ ამოაქვთ ხოლმე და იმ ქვითარში ზუსტად ის კურსია, რომელიც გაზეთებში წერია ანუ ვიღაც უცხოეთიდან ურიცხავს. რაც შეეხება საწყლობას, ოფიცრები ცემაში კლავენ, მაგრამ არაფერს ამბობს. საწყლები ასე არ იქცევიან“, — არ დაეთანხმა მეგობარი და საღამოს ორივე სულხანის ნარზე იჯდა.

„შეგვიძლია, რამით დაგეხმაროთ? თუ ფიქრობ, რომ დახმარება შეგვიძლია, არ მოგერიდოს“, — მშვიდად უთხრა №0578-მა.

„არაფერი, მადლობა, მივხედავ ჩემს თავს... მე არაფერი ვიცი“, — მიუგო სულხანმა.

„ჩვენ არც არაფერი გვიკითხავს და რა უნდა იცოდე ისეთი, რაც დაგვაინტერესებს?!“ — მეორე პატიმარი ჩაერია საუბარში.

„არაფერი, მართლა არაფერი, დედას გეფიცებით“, — მუდარაზე გადავიდა სულხანი.

ამ დროს საკნის კარი გაიღო და ოფიცერმა თვალი ჰკიდა, როგორ ესაუბრებოდნენ №0578 და მისი მეგობარი სულხანს. მეორე დღეს საკნიდან პატიმარი №0578 მეგობართან ერთად გაიყვანეს.

„თქვენც გაიგეთ ნახატის ამბავი? რაო, სად მაქვსო, მაგ ბოზმა?!“ — ღვარძლიანად იკითხა გლდანის ციხის დირექტორმა ალექსანდრე მუხაძემ.

პატიმრებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ისევ მუხაძეს და...

„რა ნახატი?!“ — ერთდროულად ჰკითხეს „ქილერას“.

„ახლა თქვენ დაიწყეთ ტვინის ბურღვა. არ იცით, ხო, რა ნახატი? რაზე აკაჩავებდით, აბა, გუშინ სულხანს?! იცოდეთ, არაფერი შეგეშალოთ, ეგ ნახატი პირადად ადეიშვილს აინტერესებს და ისე გაგაქრობთ, აზრზე ვერ მოხვალთ. გასაგებია?!“ — დაიმუქრა მუხაძე.

საკანში დაბრუნებულებს სულხანი დამფრთხალი თვალებით უყურებდა, თუმცა ხმა არცერთს გაუღია, ხოლო როცა ყველა დასაძინებლად დაწვა, მის ნართან ორი ლანდი მიცურდა და აჩურჩულდა.

„არ ვიცი, მე ნახატი არ მაქვს“, — ლამის ტიროდა სულხანი.

„არ გეუბნებით, რომ გაქვს. რა ნახატზეა საუბარი, შეგიძლია თქვა?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„რაღაც რემბრანდტის ტილოო. მე არ ვიცი, რემბრანდტი იყო თუ სხვა რამ, ვიყიდე და გავყიდე და ახლა იმ უცხოელს ვერ პოულობენ. წამალი ჩამიდეს და 15 წელი მომცეს... ტყუილად ვიხდი სასჯელს“, — არ ჩუმდებოდა სულხანი.

„და რამდენია მაგ რემბრანდტის ღირებულება?!“ — იკითხა პატიმარმა.

„არ ვიცი, საიდან უნდა ვიცოდე, მე ხომ...“ — სულხანს აღარ დასცალდა, №0578-ის მეგობარმა ყელთან ბრიტვა დაადო.

„ამბობენ, ორი მილიონიდან იწყებაო“, — სხაპასხუპით თქვა სულხანმა.

„ხედავ, გცოდნია. ნახატი სად არის, სად?!“ — პატიმარს ბრიტვა არ აუღია, ისე ჰკითხა.

„არ ვიცი“, — მტკიცედ თქვა სულხანმა და თვალები დახუჭა.

„თუ იცის და არ ამბობს, არც სიკვდილის შიშით იტყვის, 15 წელზე წამოვიდა და ახლა ამისთვის სმერტია მაგის თქმა. თუ არ იცის, ტყუილად მოკლავ“, — ჩუმად თქვა №0578-მა.

***

თავისუფლებაზე გამოსვლის შემდეგ, №0578-მა და მისმა მეგობარმა სულხანის ადვოკატი ნახეს, აუხსნეს, შენი კლიენტის გამოყვანა შეგვიძლია და შენი დახმარება გვჭირდებაო. ადვოკატმა ორი დღე ითხოვა, შემდეგ, ბიჭებს შეხვდა და გაოცებულმა უთხრა: „არ უნდა გამოსვლა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ უარს ამბობს, მოვიხდი და გამოვალო. არადა, შვიდი წელი დარჩა. ასე შეშინებული ეგ ჯერ არ მინახავს...“

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და ადვოკატს უხმოდ დაშორდნენ.

სულხან ნ. სასჯელს დღემდე იხდის და ხუთ წელზე მეტი აქვს დარჩენილი. ადვოკატი პირდება, შემიძლია, გაგიყვანოო, თუმცა ის ისევ უარზეა და სასჯელის ბოლო დღეს ელის...

ვერსიანიუსი

## მერკელი პუტინთან გამართული მოლაპარაკებების წარმატებაში დარწმუნებული არ არის



გერმანიის კანცლერი მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტთან გამართული მოლაპარაკებების წარმატებაში დარწმუნებული არ არის — ამის შესახებ ანგელა მერკელმა მიუნხენში უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„თუმცა, ჩემი აზრით და საფრანგეთის პრეზიდენტის აზრით, მცდელობა ღირს. ეს ჩვენი მოვალეობაა უკრაინის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების წინაშე“, — განაცხადა მერკელმა.

გერმანიის კანცლერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უკრაინის კრიზისის სამხედრო გზით მოგვარება შეუძლებელია და კონფლიქტის დასრულებისთვის საჭიროა მინსკის შეთანხმების განხორციელება. მისივე თქმით, მას სურს, რომ ევროპის უსაფრთხოება რუსეთთან ერთად იყოს უზრუნველყოფილი და არა რუსეთის საწინააღმდეგოდ.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მანანა კობახიძე: „პრეზიდენტთან სადებატო არაფერი გვაქვს“



უმრავლესობა პრეზიდენტის გამოსვლის დროს დებატების საჭიროებას ვერ ხედავს.

როგორც ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, პარლამენტს პრეზიდენტთან სადებატო საკითხები არ აქვს:

**„ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ, პრეზიდენტთან შევიდეთ დებატებში, რადგან მას დღეს კონსტიტუციით სრულიად სხვა უფლებამოსილებები აქვს, განსხვავებით იმ პრეზიდენტისგან, რომელიც ჰყავდა ქვეყანას 2013 წლამდე. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სადებატო პრეზიდენტთან პარლამენტს ნამდვილად არაფერი აქვს“.**

რაც შეეხება იმას, რომ პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის თარიღმა, შესაძლოა, გადაიწიოს, ვიცე-სპიკერის თქმით, საკანონმდებლო ორგანო აღნიშნულ საკითხს თებერვლის მომდევნო სესიაზე, ანუ მესამე კვირას გეგმავდა.

**„ჩვენ ამას მომდევნო სასესიო კვირას ვგეგმავდით. თუ რამე განსხვავებული მიდგომა აქვს პრეზიდენტს, გვაცნობებს“,** — აღნიშნა კობახიძემ.

*„ინტერპრესნიუსი“*

# რაში გადაუხადეს ნაციონალებმა ივანა მელაის ბიუჯეტიდან 161 213 ლარი



*მე-4 გვერდიდან*

საბუღალტრო დოკუმენტაცია, რაც სახელმწიფო აუდიტორებმა მოითხოვეს, იმ დროისთვის ხელმისაწვდომი აღარ იყო, ხოლო „ქეი 1“-ის დამფუძნებლები და ყოფილი გენერალური დირექტორები — რობერტ უილიამ პარსონსი და ეკატერინე კოტრიკაძე საქართველოში არ იმყოფებოდნენ.

სახელმწიფო აუდიტორებმა „ქეი 1“-ის საბუღალტრო პროგრამა „ორისში“ ასახული ინფორმაცია და ბუღალტრული დოკუმენტაციის ნაწილი მოიძიეს. შედეგად, „ქეი 1“-ის აუდიტორული პროცედურები არასრულყოფილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, სათანადო პასუხისმგებელი პირების მონაწილეობის გარეშე ჩატარდა. 2011 წელს, ფულადი სახსრების გასავალი 21 523 337 ლარი იყო, მათ შორის, საოპერაციო ხარჯებზე 15 561 080, ძირითად და არამატერიალურ აქტივებზე 2 229 229, საბანკო სესხის დაფარვაზე 3 700 000 ლარი დაიხარჯა. შრომის ანაზღაურებაზე 7 767 857 ლარი გაიხარჯა, მათ შორის ხელფასებზე — 7 653 865, პრემიებზე — 47 337, დაზღვევის ხარჯზე — 48 488, სხვადასხვა ხარჯებზე — 18 167 ლარი.

რაც შეეხება „ქეი 1“-ის უმაღლესი მენეჯმენტის ყოველთვიურ ხელფასს, გენერალური დირექტორი, რობერტ უილიამ პარსონსის ხელფასი, კონტრაქტით, თვეში 23 125 აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო, თუმცა ხელზე, ეროვნულ ვალუტაში 38 989 ლარს იღებდა; გენერალური დირექტორის მოადგილე, დევიდ ჩატერის ხელფასი, კონტრაქტით, 12 500 აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო, ხელზე კი 29 341 ლარს იღებდა; გენერალური დირექტორის მოადგილე, მელანი ანსთეის კონტრაქტი 12 500 ევროზე ჰქონდა გაფორმებული, ხელზე კი 29 341 ლარს იღებდა; გენერალური დირექტორის მოადგილეს, ზურაბ კოდალაშვილს კონტრაქტით, თვეში 8 750 ევრო უნდა მიეღო, თუმცა ეროვნულ ვალუტაში მისი ყოველთვიური ხელფასი რატომღაც 20 539 ლარი იყო; გენერალური დირექტორის მოადგილეს, ეკატერინე კოტრიკაძეს, კონტრაქტით, 9 250 ევრო უნდა მიეღო, თუმცა ყოველთვიურად, ხელზე 9 250 ლარს იღებდა.

## „პიკის“ თანამშრომელთა სახელფასო და ბინის ქირის ხარჯები

უკრაინელ მომღერალსა და მოდელს, ივანა მელაის, რომელიც საქართველოში საცხოვრებლად მიხეილ სააკაშვილის მოწვევით ჩამოვიდა, ტელეკომპანია „პიკმა“ გადაცემის წაყვანა შესთავაზა. სატელევიზიო გადაცემას „ივანა მელაისთან ერთად“ ერქვა და, კონტრაქტით, მისი ყოველთვიური ხელფასი 10 000 აშშ დოლარი იყო, თუმცა წლის განმავლობაში, ივანა მელაის 161 213 ლარი ჩაურიცხეს. „პიკმა“ კონტრაქტი გაუფორმა უკრაინელ ჟურნალისტ ალექსანდრე მოტორნისაც, რომელსაც უკრაინაში სიუჟეტები უნდა მოემზადებინა და ასევე, პირდაპირ ჩართვებშიც მიეღო მონაწილეობა. თითო სიუჟეტის ფასი 350 აშშ დოლარით განისაზღვრა, თუმცა ალექსანდრე მოტორნის მთლიანობაში 54 114 ლარი ჩაურიცხეს.

პოპულარულ ჟურნალისტ მატვეი განაპოლსკის ტელეკომპანია „პიკზე“ მიჰყავდა გადაცემა „მოვლენების პიკზე“, კონტრაქტით, მისი ყოველთვიური ხელფასი 4 000 ევრო იყო, თუმცა წლის განამვლობაში 40 885 ლარი გადაუხადეს. პოტენციურ პარტნიორებთან სამაუწყებლო პროდუქტის შესაძენად, „პიკის“ სახელით, მოლაპარაკებებს ვახტანგ მაისურაძე აწარმოებდა, რომელსაც კონტრაქტით თვეში 3 975 ლარი უნდა მიეღო, წლის განმავლობაში კი 33 225 ლარი გადაურიცხეს.

რაც შეეხება საცხოვრებელი ბინების იჯარას, მთლიანობაში, „პიკის“ თანამშრომელთა ბინების იჯარაზე 197 208 ლარი დაიხარჯა. რობერტ უილიამ პარსონსისთვის ი. აბაშიძის №44-ში, 1 500 აშშ დოლარად იქირავეს ფართი. მთლიანობაში კი 42 474 ლარი გადაიხადეს; რობერტ უილიამ პარსონსისთვის ლ. ასათიანის 14-ში, 1 920 აშშ დოლარად დაქირავებულ ფართში, მთლიანობაში 42 474 ლარი გადაიხადეს; ზურაბ კოდალაშვილისთვის ი. აბაშიძის 56-ში, 1 7000 აშშ დოლარად დაქირავებულ ფართში, მთლიანობაში 26 466 ლარი გადაიხადეს; ივანა მელაისთვის ი. ჭავჭავაძის №5-ში, 1 500 აშშ დოლარად დაქირავებულ ფართში 20 388 ლარი გადაიხადეს. ამას ივანა მელაის წლიური ხელფასი — 161 213 ლარიც დაუმატეთ და ამიერიდან, ვიღას უნდა გაუკვირდეს, რატომ გაიდგა ასე ღრმად ფესვები უკრაინაში არცთუ ცნობილმა მელაიმ საქართველოში, ან რატომ ჩაწერა ცნობილი სიმღერა — «МАМА, А Я ЛЮБЛЮ ГРУЗИНА». ისე, არსებობს ინფორმაცია, რომ ივანას მამა სამშობლოში პერსონა ნონ გრატადაა გამოცხადებული.

სხვათა შორის, ივანა მელაისთვის ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ძვირფას საჩუქრებს არ იშურებდა და სხვადასხვა ფეშენებელურ სასტუმროშიც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ასვენებდა. სახელმწიფო ბიუჯეტში ეს თანხა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის იყო გამოყოფილი, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი საკუთარი ხუშტურებისთვის ხარჯავდა და რომელიც წელიწადნახევრის წინ, მაშინდელმა პარლამენტარმა, ირინა იმერლიშვილმა განასაჯაროა...

ქობულეთის 24-ში, ალევტინა დუდაევასთვის 2 050 აშშ დოლარად დაქირავებულ ფართში, მთლიანობაში 52 190 ლარი გადაიხადეს; უ. ჩხეიძის 9-ში, დევიდ ჩატერისა და მელანი სარა ანთეისთვის, 2 500 აშშ დოლარად დაქირავებულ ფართში, ჯამში, 29 192 ლარია გადახდილი.

რაც შეეხება ავტომანქანების იჯარის ხარჯებს, 2011 წელს, 186 604 ლარი, აპარატურისა და სტუდიის იჯარამ კი 41 235 ლარი შეადგინა.

ჯამში, „ქეი 1“-ის უმაღლესი მენეჯმენტის შემოსავლებმა 864 978 ლარი შეადგინა. აქედან გენერალურმა დირექტორმა, რობერტ პარსონსმა ხელფასის სახით, მთლიანობაში, 355 120 ლარი მიიღო, ბინის ქირაში 42 474 ლარი გადაუხადეს, სხვა ხარჯებში — 11 201 ლარი, მისმა ჯამურმა შემოსავალმა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, 408 795 ლარი შეადგინა. გენერალური დირექტორის მოადგილემ, ზურაბ კოდალაშვილმა ხელფასის სახით, ჯამში, 169 595 ლარი მიიღო, ბინის ქირაში 26 466 ლარი გადაუხადეს, სხვა ხარჯებში — 4 482 ლარი, მთლიანობაში, კოდალაშვილმა 200 543 ლარის შემოსავალი მიიღო; დევიდ ჩატერმა ჯამში 95 229 ლარის ხელფასი მიიღო, ბინის ქირაში 29 192 ლარი გადაუხადეს, სხვა ხარჯებში — 6 568 ლარი, ხოლო მთლიანობაში 130 989 ლარის შემოსავალი მიიღო; მელანი ანსთეის ჯამური ხელფასი 95 051 ლარი იყო, ბინის ქირისა და სხვა ხარჯებისთვის მისთვის თანხა გამოყოფილი არ არის, რადგან დევიდ ჩატერთან ერთად, ერთ მისამართზე ცხოვრობდა; ეკატერინე კოტრიკაძის ჯამური შემოსავალი 29 600 ლარი იყო, თუმცა იმის გამო, ბუღალტრული პროგრამის მიხედვით, მხოლოდ 4 თვის ხელფასია გაცემული, შესაძლოა, კოტრიკაძის ჯამური შემოსავალი გაცილებით მეტიცაა.

რაც მთავარია, სახელმწიფო აუდიტორების დასკვნის მიხედვით, „ქეი 1“-ის გენერალურ დირექტორთან, რობერტ უილიამ პარსონსთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, მისი ხელფასი გადასახადების გარეშე, თვეში 18 500 აშშ დოლარი, ხოლო გადასახადების გათვალისწინებით — 23 125 ლარი იყო. რობერტ პარსონსა და მისი ოჯახის წევრებს, წელიწადში ცხრაჯერ შეეძლოთ, რომ ევროპაში მოგზაურობის ხარჯების ანაზღაურებითაც ესარგებლათ. ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო მისი საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა, თვეში არაუმეტეს 1 500 აშშ დოლარით გადასახადების გარეშე და ყოველთვიურად, მობილურზე საუბრისთვის 500 ლარით.

2012 წელს, „პიკის“ 420 თანამშრომლისთვის, ჯამში, 6 128 359 ლარის ოდენობის ხელფასი დაირიცხა. მათ შორის, ძირითადი ხელფასის სახით — 5 862 330, პრემიებისა და ბონუსის სახით — 59 012, ბიუროების ხელფასისთვის — 207 017 ლარი. შრომის ანაზღაურების მუხლში დამატებით შესულია გაცემული საწვავის ხარჯები და სხვა დასაბეგრი შემოსავლები, რაც მთლიანობაში, 250 554 ლარია.

2012 წელს, „პიკის“ გენერალურის დირექტორის, ალექსანდრე ფარულავას ყოველთვიური ხელფასი 10 000 ლარი იყო. ხელფასის გარდა, შემოსავლების სახით, ფარულავამ 65 906 ლარი მიიღო, მაგრამ 7 982 ლარზე, სათანადო ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია ვერ წარადგინა. სახელმწიფო აუდიტორების დასკვნის მიხედვით, ალექსანდრე ფარულავამ 19 164 ლარი ისეთ გადასახადებს წარმოადგენს, რომლებიც „პიკის“ საბანკო ანგარიშებით დასტურდება, მაგრამ შესაბამისი ხარჯების გაწევის საფუძვლები წარმოდგენილი არ არის. სხვათა შორის, 16 674 ლარი — რესტორნების მომსახურების, 23 782 ლარი კი მივლინების ზენორმატიული ხარჯია.

მოკლედ, როგორც აღვნიშნეთ, აუდიტის დასკვნა უკვე მთავარ პროკურატურაშია. ვის პასუხისმგებლობის საკითხს დასვამენ სამართალდამცავები, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა გამორიცხული არაა, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მაშინდელი ხელმძღვანელობა, „ქეი-1“-ისა და „პიკის“ მენეჯმენტს დაკითხვებზე სიარული მოუწიოთ. სხვათა შორის, „პიკი“ აღარ არსებობს...



## შსს პოლიციელის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ბორჯომის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის, გიორგი ბერუაშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს. გიორგი ბერუაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანა ბოლო მომენტამდე ვერ მოხერხდა მისი მდგომარეობის სიმძიმის გამო. თუმცა ექიმებმა პოლიციელის გადასარჩენად ყველაფერი გააკეთეს. გიორგი ბერუაშვილი მიღებული ჭრილობების შედეგად 6 თებერვალს გარდაიცვალა. გარდაცვლილი პოლიციელის დაკრძალვის ხარჯს შინაგან საქმეთა სამინისტრო გაიღებს.

გიორგი ბერუაშვილი 23 იანვარს, ლიკანში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, პატრულირებისას, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევმა, ბორჯომში მცხოვრებმა, 1977 წელს დაბადებულმა შალვა აბულაძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაჭრა. ლიკანში მომხდარი ინციდენტის დროს დაჭრილი მეორე პოლიციელის გიორგი მახარაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ამჟამად ის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში გადის მკურნალობას. შალვა აბულაძის დასაკავებლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ინტენსიურად მიმდინარეობს.

***„ვერსიანიუსი“***

## ჩინეთის კიდევ ერთი მოქალაქე დააკავეს



შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირზე მდებარე ე.წ. ჩინური მასაჟის სალონის ადმინისტრატორი, ჩინეთის მოქალაქე, 1957 წელს დაბადებული ფეიჟუ ჟ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ფართს უთმობდა.

სამართალდამცველებმა სალონში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლით).

***„ვერსიანიუსი“***

## პოლიციამ აბაშის რაიონში მომხდარი მკვლელობა გახსნა

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიების შედეგად, აბაშაში მცხოვრები, 1994 წელს დაბადებული გიორგი ს. განზრახ მკვლელობის, ქურდობისა და სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სანადირო თოფიდან ერთი გასროლით სასიკვდილოდ დაჭრა აბაშის რაიონის სოფელ ანჯერში მცხოვრები, 1964 წელს დაბადებული ტოტია მ, შემდგომ დანაშაულის დაფარვის მიზნით ცხედარი დაწვა, მსხვერპლის კუთვნილ 17 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა ბრალდებული სამძებრო და ოპერატიული მოქმედებების შედეგად ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურში დააკავეს. ამოღებულია დანაშაულის იარაღი. დაკავებული აღიარებს დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის, ქურდობის და სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით). გამოძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

***„ვერსიანიუსი“***



1. ამაზონის პატარა მტაცებელი თევზი
2. ქუთუთოს კიდეზე ამოსული ბეწვი
3. საავადმყოფოს ოთახი
4. მეფე ლირის ერთ-ერთი ასული
5. ქართლის ერისთავი
6. სამხედრო ნადავლი
7. თაგვის ნაშიერი
8. თავლია ღუმელი მწვადის შესაწვავად
9. ფუჭი, უშედეგო
10. მტკნარი წყლის დელფინი
11. აზრის იგავურად გამოხატვა ლიტერატ.
12. იმპროვიზაცია რაიმე მელ. შესრულებისას
13. თორმეტწახნაგა გეომეტრიული სხეული
14. გამხმარი ცომისგან მომზად. მილაკები
15. სვანური ციხე-კოშკი
16. წვრილი ტყვიები
17. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
18. პირისახის ძვალი
19. ორადგილ.ველოსიპედი
20. ხელის საგრილობ.
21. ქიმიური ელემენტი, მეტალი
22. „ყინულების ქვეყანა“ ევროპაში
23. საჭადრაკო რეიტინგების ავტორი
24. პლატონის სასწავლებელი
25. ტერფის ნაწილი
26. კენიის დედაქალაქი
27. წყალგაუმტარი ქსოვილის ლაბადა
28. გიტარის კორპუსის ნაწილი
29. „შევროლეს“ მოდელი
30. ჰავაელთა მინი-გიტარა
31. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
32. დიდი ქართველი მსახიობი
33. მოკლენიჩბიანი მსუბუქი ნავი
34. პირის ღრუს ზედა ნაწილი
35. ქართველი მოკრივე
36. სამიზნე თოფის ლულაზე
37. ნაგვის ყუთი
38. კრემიანი ნამცხვარი
39. ვანოს მეგობარი გოგონა (სიმღ.)
40. შიშველი სხეული ფერწერაში
41. უუფლებო ადამიანი
42. სამეგ. სამთავროს მეორე სახელწოდება
43. ბიბლიური პატრიარქი
44. ქალაქი ირანში
45. იგივე სვირინგი
46. წამლის ბურთულა
47. მწერალი ... გელაშვილი
48. ჩეხეთის ეროვნული გმირი ... ჰუსი
49. ყაზახეთის ფულის ერთეული
50. უკრაინელი პოეტი ... შევჩენკო
51. ძველი ქართული ვოკალური კვარტეტი
52. პატიმრის დასასჯელი ოთახი
53. ავტომატური ელექტროხელსაწყო
54. რუსეთის პარლამენტი
55. მთის ანტონიმი
56. ფრთოსანი მწერის განვითარების ბოლო სტადია
57. შტატი ინდოეთში
58. სოკოს ქსელი
59. ქარების მბრძანებელი ბერძნულ მითოლოგ.
60. ისტორიული ჩანაწერები, მატიანე
61. ფინეთის ერთ-ერთი უდიდესი ტბა
62. შინაური ფრინველი
63. პოეტური გამოცანა
64. დიდი ბოთლი
65. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
66. მუსიკალური გამის IV ნოტი

# „ტვინი“ გასაყიდად გამოიტანეს



რეკლამის ლონდონელმა სპეციალისტებმა — უიკლიამ ბერნჰარდმა და მეთიუ მიფსუდმა სამსახურის შოვნა გადაწყვიტეს და საკუთარი „ტვინი“ გასაყიდად ინტერნეტაუქციონზე გაიტანეს, სასტარტო ფასი კი 1 გირვანქა სტერლინგია, ხოლო აუქციონის გარეთ ტვინის ყიდვა 28 ათასი გირვანქა სტერლინგი დაჯდება. ასეთი ნაბიჯით „რეკლამშიკები“ იმედოვნებენ, რომ კრეატიული დირექტორების, სარეკლამო სააგენტოებისა და კერძო დამკვეთების ყურადღებას მიიქცევენ. საიტზე „ტვინი“ იყიდება როგორც მთლიანად, ისე ცალკეულ ნაწილებად. ბერნჰარდი და მეთიუ მზად არიან, გაყიდონ საკუთარი „ტვინის“ ის ნაწილები, რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული პროგრამების, ფოტოგრაფიის საფუძვლების, ფრანგული ენის ცოდნაზე, ასევე კოპირაითინგის, მუსიკალური ნიჭისა და სხვა შემოქმედებით უნარზე.

# უჩვეულო კერძი საუკეთესო მზარეულისგან



მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებული დანიური რესტორნის Noma-ს შეფ-ზარეულმა დაწესებულების ფილიალი გახსნა ამომავალი მზის ქვეყანაში და კლიენტებს ტოკიოში სთავაზობს, გასინჯონ კერძი ცოცხალი კრვეტებითა და მკვდარი ჭიანჭვლებით. ცოცხალი სამეფო კრევეტი ყინულზეა მოთავსებული და ერთი მუჭა მკვდარი ჭიანჭველებითაა შეკმაზული. კულინარიული კრიტიკოსები, რომელთაც ცნობილი მზარეულის ახალი კერძი დააგემოვნეს, აღნიშნავენ, რომ ჭიანჭველის მჟავას წვეთები შესანიშნავად ეხამება კრევეტის ვარდისფერ ხორცს. კერძის ღირებულება 149 ათასი იენია (დაახლოებით 1260 დოლარი). Noma-ს იაპონური რესტორანი გასულ თვეს გაიხსნა. გარდა კრევეტებისა, მსურველებს აქ სხვა უჩვეულო კერძების დაგემოვნებაც შეუძლიათ.

# მამაკაცს „ოტელოს“ დაავადება სჭირს



70 წლის ავსტრალიელი მამაკაცი ყოველ ღამით უცნაურად იქცევა. ძილის დროს ჩხუბობს, ახრჩობს ცოლს, კარადაში იმალება და ტანსაცმელს აქეთ-იქით ყრის. ამ მოქმედებების პარალელულად, მამაკაცი სიზმარსაც ხედავს, რომელშიც ვიღაცისგან გარბის ან თავდასხმის მსხვერპლი ხდება. დგება დილა და ხანდაზმულ კაცს არაფერი ახსოვს, რას აკეთებდა ღამით. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ძილის წინ საწოლზე იბავს თავს, მეუღლეს კი სხვა ოთახში სძინავს. გამოკვლევების შედეგებით, ავსტრალიელს არ აღმოაჩნდა აშკარა ნერვული აშლილობა, რითაც შეიძლებოდა ღამით მისი უჩვეულო საქციელი ახსნილიყო. თუმცა, ხანგრძლივი კვლევებისას მედიკოსებმა მას ძილის სწრაფი ფაზის აშლილობა გამოუვლინეს. ეს მდგომარეობა ორივე სქესისა და სხვადასხვა ასაკის ადამიანებში დიაგნოსტირდება, თუმცა, უფრო ხშირად, 50 წელს გადაცილებულ მამაკაცებში ვლინდება. ამ გადახრის გამო, პაციენტთა 33-65% საკუთარ თავს ან სხვას ასახიჩრებს. მისი მექანიზმი კი ასეთია: სიზმრებს ადამიანი, ჩვეულებრივ,სწრაფი ძილის ფაზაში ხედავს (მასზე ძილის დროის 25% მოდის) ამ მომენტში კუნთები კარგავს ტონუსს და არსებითად, პარალიჩის მდგომარეობა დგება. თუმცა, აშლილობისას ეს არ გაივლის, ტონუსი იგივე რჩევა ან იზრდება, რადგან სხეული არ იღებს ტვინისგან თავისუფლად ყოფნის ბრძანებას. ამ გადახრის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, ზოგიერთი მედიკოსი მას ალცჰეიმერის დაავადებასა და პარკინსონიზმს უკავშირებს.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | | 1 | | 3 | | | |
| | 2 | | | | | 8 | | |
| | | 7 | | | 2 | | 1 | 3 |
| | | 6 | | | | | 8 | |
| 4 | | | 9 | | 8 | | | 2 |
| | 9 | | | | | 7 | | |
| 5 | 7 | | 8 | | | 9 | | |
| | | 2 | | | | | 4 | |
| | | | 2 | | 5 | | 7 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 4 | | | | | |
| 5 | 9 | | | | | | | 1 |
| 2 | | | 5 | 1 | 9 | | | |
| 7 | | | | | 2 | | | 4 |
| | | 3 | | 6 | | 2 | | |
| 1 | | | 8 | | | | | 5 |
| | | | 9 | 4 | 1 | | | 8 |
| 3 | | | | | | | 6 | 9 |
| | | | | | 6 | 5 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 5 | |
| | | 5 | | 4 | 3 | 9 | | |
| | | | | 2 | 9 | 1 | | |
| 1 | | | | | 5 | 3 | 9 | |
| | | | 7 | 9 | 2 | | | |
| | 5 | 2 | 8 | | | | | 4 |
| | | 3 | 9 | 1 | | | | |
| | | 1 | 3 | 8 | | 2 | | |
| | 4 | | | | | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | 5 | | | | | 8 |
| | 4 | 2 | | 9 | 3 | | | |
| 8 | | 1 | | | | | | |
| 1 | | | | | | | 6 | |
| 9 | 7 | 3 | | 6 | | 2 | 4 | 5 |
| | 8 | | | | | | | 3 |
| | | | | | | 5 | | 2 |
| | | | 6 | 2 | | 4 | 8 | |
| 2 | | | | | 4 | | 3 | |

# სპრეი უძილობის წინააღმდეგ



2013 წელს წარმატებული პროდუქტის გამოშვების შემდეგ, ფირმა Silicon Valley ბაზარზე ახალი პროდუქტით დაბრუნდა, რომელსაც „გასაფრქვევი ძილი“ უწოდეს. ეს მსოფლიოში პირველი სპრეია მელატონინით, რომელიც ადამიანს დაეხმარება, ბუნებრივად დაიძინოს და უკვე დასვენებულმა გაიღვიოს. აღსანიშნავია, რომ აბები მელატონინით უკვე დიდი ხანია გმოიყენება მათ სამკურნალოდ, ვისაც ამ მხრივ პობლემები აქვს, ახალი პროდუქტის ავტორები კი აცხადებენ, რომ სპრეის გარკვეული უპირატესობა აქვს მათთან შედარებით: ჰორმონის ეფექტურობა აბების სახით შესაძლოა დაიკარგოს საკვების გადამუშავებისას. სპრეიში კი ეს პრობლემა არ არსებობს. გასაფრქვევი მელატონინი ბუნებრივი პროცესის იმიტირებას ახდენს. თუ ხშირად მოგზაურობთ და სასაათე სარტყელს იცვლით, ან ღამის ცვლაში მუშაობთ, სპრეი დაგეხმარებათ, მაშინ დაიძინოთ, როცა მოისურვებთ. საამისოდ ის ძილამდე ერთი საათით ადრე, ყელის მიდამოში ორჯერ უნდა შეისხუროთ და დაელოდოთ, როდის დაგიმძიმდებათ ქუთუთოები. ერთი ბოთლი სპრეი 15 დოლარი ღირს და მას არ სჭირდება მოწონება აშშ-ს წამლებისა და პროდუქტების კონტროლის ორგანიზაციიდან, რადგან „გასაფრქვევი ძილს“ კოსმეტიკური საშუალებების კლასიფიკაციაში აქვს.

Etihad-ის მთავარი კონკურენტი ამ საქმეში დუბაის კომპანიაა Emirates, რომელიც ფუფუნების ეტალონად ითვლება სარეისო ავიაგადამყვანებს შორის.

# გასამრჯელო გულუხვი კლიენტისგან



არიზონაში, ერთ-ერთი რესტორნის კლიენტმა ოფიციანტს გასამრჯელოდ („ჩაი“) რეკორდული თანხა — 11 ათასი დოლარი დაუტოვა. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, დეკემბრის ერთ საღამოს წყვილმა ივახშმა. ვახშმის ღირებულებამ 331,4 დოლარი შეადგინა, ოფიციანტის „ჩაი“ კი ათასი დოლარი დატოვეს. თუმცა, წყვილის ვიზიტი დაწესებულებაში ამით არ დასრულებულა, მათ დასალევად დარჩენა გადაწყვიტეს და კიდევ 90 დოლარის სასმელი შეუკვეთეს. მეორედ ანგრიშის გადახდისას, მამაკაცმა ოფიციანტს გასამრჯელოდ უკვე 10 ათასი დოლარი დაუტოვა. გულუხვმა კლიენტმა ვინაობის გამხელა არ ისურვა, თუმცა, ცნობილია, რომ ზუსტად ერთი წლით ადრე, ამავე რესტორანში მან „ჩაისთვის“ 2,5 ათასი დოლარი დატოვა.

# ბოროტმოქმედებს კონსერვებით გაუსწორდებიან

აშშ-ში, ალაბამას შტატში მდებარე ქალაქ ვალეის ერთ-ერთი სკოლის ხელმძღვანელობამ მოსწავლეებს თითო ქილა კონსერვის მიტანა დაავალა და მათი გამოყენება ბოროტმოქმედებისგან თავის დასაცავად იგეგმება. კონსერვს არ აქვს მნიშვნელობა, მისი რეკომენდებული წონა კი 8 უნციაა (დაახლოებით 200 გრამი). სავარაუდოდ, ამ პროდუქტს კლასში შეინახავენ და თუ საჭირო გახდება, ვთქვათ, სკოლაზე თავდასხმის შემთხვევაში, სატყორცნ იარაღად გამოიყენებენ. სასწავლო დაწესებულების ხელმღვანელის თქმით, ასეთი „იარაღის“ არსებობა მოსწავლეებს დაცულობის გრძნობას შემატებს. შესაძლო თავდახმის მოსაგერიებლად, პედაგოგები ბავშვებს ასევე ბარიკადების აგებას ასწავლიან, კლასში დამნაშავეებმა რომ ვერ შეაღწიონ. თუკი ასეთი რამ მაინც მოხდა და ბავშვების ევაკუაცია ვერ მოხერხდა, მოსწავლეებს ურჩევენ, თავდამსხმელებს სახელმძღვანელოებით, საჩვენებელი ნიმუშებითა და სხვა საგნებით გაუსწორდნენ. დირექტორის განცხადებით, თუკი სწავლის პერიოდში კონსერვები არ დასჭირდებათ, წლის ბოლოს მას სკოლის სასადილოს გადასცემენ. აღსანიშნავია, რომ ამ ინიციატივის განსახილველად მისული მშობლების უდიდესმა ნაწილმა მას მხარი დაუჭირა.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 2 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 3 |
| 9 | 3 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 | 4 | 1 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 | 8 |
| 4 | 2 | 7 | 5 | 9 | 3 | 1 | 8 | 6 |
| 8 | 1 | 9 | 2 | 6 | 7 | 5 | 3 | 4 |
| 6 | 5 | 3 | 1 | 8 | 4 | 9 | 2 | 7 |
| 5 | 9 | 1 | 3 | 4 | 6 | 8 | 7 | 2 |
| 3 | 8 | 6 | 7 | 2 | 9 | 4 | 1 | 5 |
| 2 | 7 | 4 | 8 | 1 | 5 | 3 | 6 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 5 | 4 | 7 | 1 | 2 | 3 | 9 |
| 7 | 3 | 1 | 2 | 9 | 6 | 5 | 8 | 4 |
| 4 | 2 | 9 | 8 | 3 | 5 | 6 | 1 | 7 |
| 8 | 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 4 | 7 | 3 |
| 5 | 7 | 4 | 3 | 1 | 8 | 9 | 6 | 2 |
| 3 | 9 | 2 | 7 | 6 | 4 | 1 | 5 | 8 |
| 2 | 4 | 8 | 1 | 5 | 7 | 3 | 9 | 6 |
| 1 | 6 | 7 | 9 | 4 | 3 | 8 | 2 | 5 |
| 9 | 5 | 3 | 6 | 8 | 2 | 7 | 4 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 3 | 2 |
| 5 | 3 | 9 | 2 | 6 | 1 | 4 | 8 | 7 |
| 8 | 2 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 6 |
| 3 | 1 | 5 | 8 | 7 | 2 | 9 | 6 | 4 |
| 4 | 9 | 8 | 3 | 1 | 6 | 2 | 7 | 5 |
| 6 | 7 | 2 | 4 | 5 | 9 | 3 | 1 | 8 |
| 9 | 8 | 4 | 6 | 3 | 5 | 7 | 2 | 1 |
| 2 | 6 | 1 | 7 | 9 | 4 | 8 | 5 | 3 |
| 7 | 5 | 3 | 1 | 2 | 8 | 6 | 4 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 7 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 5 |
| 6 | 1 | 5 | 8 | 7 | 2 | 3 | 9 | 4 |
| 3 | 9 | 2 | 5 | 4 | 1 | 8 | 7 | 6 |
| 4 | 8 | 6 | 3 | 9 | 5 | 1 | 2 | 7 |
| 2 | 7 | 3 | 6 | 1 | 8 | 5 | 4 | 9 |
| 1 | 5 | 9 | 4 | 2 | 7 | 6 | 3 | 8 |
| 9 | 2 | 1 | 7 | 5 | 6 | 4 | 8 | 3 |
| 7 | 6 | 8 | 2 | 3 | 4 | 9 | 5 | 1 |
| 5 | 3 | 4 | 1 | 8 | 9 | 7 | 6 | 2 |

მე-12 გვერდი: 1. აპათია; 2. პოლიცია; 3. თაიგული; 4. გვიმრა; 5. ვეგეტაცია; 6. მეანდრი; 7. შლეიფი; 8. ხადური; 9. მადრიგალი; 10. იგუანა; 11. აივანი; 12. აბაშა; 13. ცხუმი; 14. ირიდა; 15. ადიდა; 16. სტადია; 17. თრია; 18. ფიალა; 19. ცვილი; 20. კუჭი; 21. კორსიკა; 22. სნაიპერი; 23. კარანტინი; 24. აბერაცია; 25. ჭადრაკი; 26. „აივენჰო“; 27. ბადრი; 28. რონია; 29. ცმელი; 30. საგურამო; 31. ჭა; 32. ოდენსე; 33. მანჭვა; 34. ინგა; 35. აარე; 36. როიალი; 37. იაქი; 38. ქვილთი; 39. სალიერი; 40. კიგალი; 41. მტლე; 42. პინია; 43. ალოე; 44. ბრი; 45. ეკი; 46. ევა; 47. რაე; 48. ტოგა; 49. ისმენე; 50. ვიკუნია; 51. ანუი; 52. უნისონი; 53. არაკი; 54. ჰუკი; 55. „რეიბანი“; 56. ბოისე; 57. ემისია; 58. აბრისი; 59. სვია; 60. ანანასი; 61. ლოცია; 62. ილჰამ; 63. ოკინავა; 64. ლირიკა; 65. ჰააგა; 66. მეი; 67. ეჯიბი; 68. ფოიე; 69. არილი; 70. სოკერი; 71. მაინა; 72. ლია; 73. იობი; 74. კრიკი; 75. „ლეგო“; 76. ნეკერი; 77. ორლი; 78. ფარაონი; 79. აფოცი; 80. ობელისკი; 81. კაი; 82. იდილია.



1. ადამიანის ცხოვრების აღწერა
2. ცივი იარაღი თითებზე წამოსაცმელი რკინის ფირფიტა
3. ძველი, იშვიათი წიგნებით მოვაჭრე
4. ქალაქი საფრანგეთში
5. მოულოდნელი შემოწმება
6. პატარა ერთ- ან ორადგილიანი თვითმფრინავი
7. მდინარე დასავლეთ საქართველოში
8. ქალის მოკლე უსახელო მაისური
9. თავის კანი თმებიანად
10. სუსტი ქარი, სიო
11. აფრიკული მაგია
12. საქონლის შესაფუთი ჭურჭელი
13. საჰაერო ფლოტი
14. დამარილებული და გამომხმარი ხორცი
15. აშშ-ის შტატი
16. თურქეთის საკურორტო ქალაქი
17. წონის ერთეული ძვ. რომში
18. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე
19. ჰოლივუდის მსახიობი კამერონ ...
20. ფრანკფურტის საფეხბურთო კლუბი
21. საბერძნეთის კუნძული ეგეოსის ზღვაში
22. მდინარე სანკტ-პეტერბურგში
23. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
24. მრავალსიმიანი მუსიკალური საკრავი
25. რისამე განვითარების უმაღლესი წერტილი
26. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
27. დეკორატიული ბუჩქი
28. ყველაზე დიდი თითი
29. ქალაქი ესპანეთში
30. ავსტრიის სიდიდით მეორე ქალაქი
31. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე
32. იხ. სურათი: ავტორი
33. ძვ. ქართ. ცხენოსნური სპორტული თამაში
34. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
35. სამშენებ. მასალა
36. მხატვრობა კედელზე
37. ბრტყლად შემწვარი წიწილა
38. სპორტული ცურვის სტილი
39. სატრფოს ფანჯარასთან შესასრულებელი სიმღერა
40. მდ. ბერნში
41. რუსული თვითმფრინავის მარკა
42. „ოთახი“ მატარებლის ვაგონში
43. პიანინოს ასაწყობი ხელსაწყო
44. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
45. ბარბადოსელი მომღერალი ქალი
46. ქალაქი ჩეხეთში
47. ყელის ინფექციური დაავადება
48. ძველ ეგვიპტელთა წმინდა ფრინველი
49. პუჩინის ოპერა „მანონ ...“
50. თვითმფრინავის კიბე
51. გაპოლიტიკოსებული ლიბერიელი ფეხბურთელი
52. იაპონური მაფია
53. ესკიმოსთა კაპიუშონიანი ქურთუკი
54. არქიმედეს ცნობილი წამოძახილი
55. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
56. უსინათლოთა შრიფტის გამომგონებელი
57. შინაური ცხოველი
58. ხელოვნური საერთაშორისო ენა
59. სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში
60. პიკნიკი ღია ცის ქვეშ მწვადებით
61. ხვადის ანტონიმი
62. ნერვული სისტემის ცენტრალური ნაწილი
63. სურათი ზღვის ხედით
64. საქართველოს ეროვნული ვალუტა
65. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
66. ქართლის მეფე ოპერა „აბესალომ და ეთერში“
67. ბიბლიური პატრიარქი
68. (ძვ.) ჯარი, ლაშქარი
69. მტკნარი წყლის დელფინი
70. მუქი შინდისფერი
71. „კბილებიანი“ ბოსტნეული
72. იგივეა, რაც ბურუსი
73. მზის საგალობელი რაჭაში
74. III ნოტი
75. ტბა აფრიკაში
76. ცეცხლის მნათი ნაწილი
77. საავადმყოფოს ოთახი
78. მობილური ტელეფონების მარკა
79. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
80. ბალახის ჩრდილი
81. გასეირნება ბავშვის ენაზე
82. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
83. კავკასიის მთიელთა სოფელი
84. რაიმე პროცესის ცალკეული მომენტი, სტადია
85. ნოტი „დო“-ს ძველი სახელწოდება
86. უძველესი არამეული ქალაქი თანამედროვე სირიის ტერიტორიაზე
87. ელექტროტექნიკის მწარმოებელი ყოფილი იაპონური კომპანია
88. ძველრომაული მონეტა
89. საოპერო პარტია



## ახალდაქორწინებულები მოსამზადებელ კურსებს გაივლიან

საუდის არაბეთის ხელისუფლება აპირებს, სავალდებულო კურსები შემოიღოს დაქორწინების ყველა მსურველისთვის. საქმე ის არის, რომ ერ-რიადში მეტად შეშფოთებულები არიან ქვეყანაში განქორწინების მზარდი რიცხვით. იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ქორწინებების საკითხების კოორდინატორი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში საუდის არაბეთის ყველა ქალაქში ათასი ინსტრუქტორი გაიგზავნება, რომლებიც ახალგაზრდა წყვილს ოჯახური ცხოვრების „ანა-ბანას“ შეასწავლიან. მომავალი მეუღლეებისთვის განკუთვნილი პროგრამა უახლოესი ორი წლის განმავლობაში განხორციელდება. არაბები ამ საქმეში მალაიზიის გამოცდილებას ეყრდნობიან, სადაც განქორწინების დონე 32-დან 7%-მდე დაეცა მას შემდეგ, რაც იქ ახალდაქორწინებულთათვის მსგავსი პროგრამა აამუშავეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.